წელიწადი მესამე ფასი 7 კაპ. პარასკევი, 28 აპრილი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., ტექსტის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 მ. ღირს 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 91 ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი № 91

გ ა ზ ე თ ი
„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო“
ღ ი რ ს:
მთელის წლით—15 მ., ½ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 აპრილიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ღირება 11 მ.—25 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის მიხედვით.
რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

კნეინა სოფიო გაბრიელის ასული ფალავანდიშვილისა, ალექსანდრა გიორგის ასული ყანჩელი, კნ. სალომე გიორგის ასული ამირეჯიბისა, კნ. დარია გიორგის ასული [illegible]თაშვილისა, ივანე და დუშიკო გიორგის ძენი ფალავანდიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესაობა და ნაცნობთ

თ-დ ზაქარია გიორგის ძის
ფალავანდიშვილის
დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას.
პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7½ საათზედ, ხოლო შაბათს—საღამოს 8 ნახ. საათზე.—ცხედრის გამოსვენება დილის 9½ საათზედ 30 აპრ. თავის სახლიდან—ვოგზლის ქუჩა № 12. წირვა იქნება დიდუბის ტაძარში და დასაფლავება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ
სახელმწიფო თეატრში
დანიშნულია
საზეიმო ეროვნულ-კულტურული კრება
ვალერიან გუნიას
პატივსაცემად და 35 წლის მოღვაწეობის საჯაროდ აღსანიშნავად სამწერლო, სასცენო და საზოგადო ასპარეზზედ.
1882—XXXV—1917
დაწვრილებით პროგრამა ცალკე გამოცხადდება.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.
საზეიმო კრების მომწყობნი: ქართული დრამატ. საზოგადოების გამგეობა, საჯარო პატივცემის მომწყობი კომიტეტი და ქართველ მსახიობთა კორპორაცია.
იმავე დღეს საღამოს იმავ თეატრში
სადღესასწაულო წარმოდგენა

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი.
აპრილის 30, 1917 წლისა, ახალ კლუბის შენობაში დანიშნულია ქართულ თეატრის მსახიობთა ყრილობა
საპროფესიო კავშირის
დასაარსებლად.
სხვა ქალაქებში მყოფ ქართველ მსახიობთ, რომელთაც ოდესმე უმსახურნიათ ან ეხლა მსახურებენ ქართულ თეატრში, ვთხოვთ ამ დღისათვის მიუცილებლად ჩამოვიდნენ ქ. თბილისს.
ყრილობა დაიწყება დილის 11 საათზე.
რწმუნებულნი: ანდრონიკაშვილი კ., დადიანი შალვა, შალიკაშვილი ვალ.

თედო ღლონტის წიგნი
ავტონომია და ფედერაცია
(კრებული რჩეულ დაბეჭდილ და დაუბეჭდავ წერილებისა).
ღირს ხელის მოწერით 2 მან. 50 კაპ., საბაზროდ 3 მან. წიგნი შეიცავს 350—400 გვერდს, ავტორის სურათს და ცნობას[illegible]. წიგნი დასაბეჭდად გამოცემისათვის ქაღალდი და მასალა დამზადებულია. წიგნი დარიგდება აგვისტოში. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ 15 ივნისამდე.
ხელის მოწერა მიიღება:

| | |
|---|---|
| თბილისში—„სახალხო ფურცლის“ რედაქციაში. | თელავში—ბაბო [illegible]ხანიშვილთან. |
| „ ქ. შ.წ.-კ. გ. საზ. მაღაზიაში. | ახალციხეში—ვ[illegible]არეზოვთან. |
| „ კოოპერატივ „მეურნე“-ში. | სიღნაღში—წერა-კითხვის წიგნის მაღაზიაში. |
| „ სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში. | ლანჩხუთში—შ. [illegible]კორიასთან. |
| „ ს.-ფ. კომიტ. სადგომში. | ოზურგეთში—ალ. [illegible]ძესთან. |
| ზუგდიდში—მიხ. მდივანთან. | სოხუმში—„დიოსკურიაში“. |
| ახ.-სენაკში—„სახ. ფ.“ აგენტთან—ჩიგოგიძესთან. | „ სახ. უნივერსიტ. კიოსკში. |
| ფოთში—სვ. ორაგველიძესთან. | ჩოხატაურში—გ. თოდუ[illegible]რიძესთან. |
| აბაშაში—ა. მიქაძესთან. | სარიყამიშში—გ. ქუ[illegible]რიძესთან. |
| სამტრედიაში—პრ. გელეიშვილთან | ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან. |
| გორში—მაისურაძის წიგ. მაღაზიაში | „ თ. მთავრიშვილთან. |
| საჩხერეში—გ. ქავთარაძესთან. | ალექსანდროპოლში—[illegible]. კულუმბაშვილთან. |

სხვა ადგილი და პირი შემდეგ გამოცხადდება. ნისიად და ნაწილად ხელის მოწერა არ მიიღება, ვინაიდან წიგნი მოკლე დროში დაიბეჭდება. ფოსტით გამოწერა შეიძლება ასე: Тифлисъ, ред. „Сахалхо Пурцели“ для Ѳ. Глонти. (3—63—2)

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმბა
გ. მ. მუხაძე
იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეზე, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ასვადიანისა

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

იყიდება
ორსართულიანი ქვითკირის სახლი
ყოველისფრით შემკული. გამოყვანილია წყალი, გაჭრილია არხი და სხვ.
მინკვიცევის ქუჩა № 22.
პირობები იკითხეთ შიო ქუჩუკაშვილთან: ანანურის მისახვევი, № 7.
(6-652-6)

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. [illegible] კლინიკისა.
ბავშვთა, შინაგან და [illegible] სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს [illegible] ქ. № 3

ექიმი
მ. ი. ზარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ლინკის ქ. № 4 [illegible] 203

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18
ტელეფონი № 11—82.

ექიმი ქალი
ე. ივ. გალარჯიშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

თბილისი, 28 აპრილი.

## საქართველოს ეკლესიის უფლებათა დეკლარაცია

საქართველოს ეკლესიის მმართველობამ გამოაქვეყნა ავტოკეფალიის ძირითადი დებულებანი, რომელიც დეკლარაციის სახით წარდგენილია პეტროგრადში დროებით მთავრობასთან დასამტკიცებლად.

ეს დეკლარაცია ნათლად ამტკიცებს, რომ აღდგენილი ქართული ეკლესია აშენებული იქნება მკვიდრ ხალხოსნურ, დემოკრატიულ საფუძველზე და ხელს არ ახლებს არც ერთს არა ქართველი ერის საეკლესიო თვითმართველობის უფლებებს.

არც ბერძნები, არც აისორები, არც რუსები საქართველოს ეკლესიაში არ შემოვლენ: მათ ექნებათ თავიანთი საკუთარი ეკლესიური მმართველობა.

მხოლოდ აფხაზები და ოსები საქართველოს მრავალსაუკუნიან საეკლესიო ისტორიულ ცხოვრების ერთგული თანაზიარნი, შემოვლენ ქართულ ეკლესიის შემადგენლობაში, უკეთუ, ისინი ამაზედ უარს არ იტყვიან.

ამით ისპობა კამათი შესახებ საქართველოს ავტოკეფალისტების დაპყრობით-აგრესიულ განზრახვებისა.

წესი კათალიკოსის არჩევანისა კი უზრუნველ ჰყოფს ავტოკეფალურ ეკლესიას განკერძოებულ, წოდებრივ-კლერიკალურ პოლიტიკისაგან.

კათალიკოსს აირჩევს ეკლესიის მონაწილე მთელი ქართველობა, როგორც მამაკაცი, ისე დედაკაცი პირდაპირის, თანასწორის, საყოველთაო და ფარულის ხმის მიცემით. კათოლიკოსი შეიძლება ერისკაცთაგანაც აირჩეს.

ეს კანონი საკმაოა საწინდარია საქართველოს თავისუფალ ეკლესიის ხალხოსნობისა.

ზოგიერთს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია სომხეთის ულტრა კლერიკალიზმის სახით აქვს წარმოდგენილი.

მაგრამ სომხეთის ეკლესია ხომ სულ სხვა ნიადაგზეა აშენებული: მას ხომ არ უძევს საფუძვლად ის ოთხნაწილოვანი პრინციპი არჩევნებისა, რომელიც დემოკრატიულ წესწყობილების დედაბოძია.

არც სარჩოს მხრივ დატვირთავს ქართველ ერს თავისუფალი ეკლესია: მხოლოდ მანამდის, სანამ საეკლესიო საკითხს რუსეთის დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორებით, რუსეთის ხაზინა განაგრძობს ქართულ ეკლესიის შენახვას; და როდესაც მთელს რუსეთში ეკლესია და სახელმწიფო ერთი მეორეს დაშორდება, მაშინ ქართული ეკლესიის ხარჯიც ხაზინას მოშორდება: ეს მორწმუნეთა საქმე იქნება.

ასეთია საქართველოს ავტოკეფალიურ ეკლესიის დემოკრატიული საფუძველი და გარანტია.

მაგრამ საქართველოს თავისუფალი ეკლესიის კონსტიტუცია ეროვნულ-ნაციონალ გარანტიასაც იძლევა.

საქართველოს ეკლესია იქნება იურიდიული პიროვნება და, როგორც ასეთი, იგი პირველი უფლება-მოსილი ორგანიზაცია იქნება, რომლის საშუალებით მთელს ქართველობა,ს მთელს საქართველოს შეეძლება ეროვნულ-იურიდიული ცხოვრება-მოქმედება.

საქართველოს კათალიკოსს ურთიერთობა ექნება მთელი ქვეყნის ავტოკეფალურ ეკლესიებთან და ეს იქნება პირველი აქტი ქართველობის ხმის გაგონებისა საერთაშორისო საქმეებში.

ეს მდგომარეობა ფაქტიურად უკვე 12 მარტის აქტის შემდეგ დამყარდა და დროებითმა მთავრობამაც მას სანქციაც დასდო.

საკათალიკოსო მმართველობის მიერ შედგენილი დეკლარაცია ამ ფაქტიური მდგომარეობის ჩამოსხმაა იურიდიულ ნორმებში, და როგორც ასეთმა, მან სრული სანქცია უნდა მიიღოს რუსეთის დროებით მთავრობისაგან.

საქართველოს ეკლესიის განთავისუფლების საქმე ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სამშობლო ეკლესიის თავისუფლებას დარაჯობა და მფარველობა სჭირია, დარაჯობა არა ერთი რომელიმე წოდებისა, ან პარტიისა, არამედ დარაჯობა მთელი ერისა, მთელი საქართველოსი.

## ზავის საკითხი და გერმანეთის დემოკრატია

რუსეთის დიდი რევოლუცია გასცილდა კიდეც ეროვნულს საზღვრებს და მნიშვნელოვან საერთაშორისო ფაქტორად გადაიქცა. ბუქარა, ქივასა, რუმინიასა, ავსტრია-უნგრეთსა და გერმანეთში პოლიტიკური რეფორმების ხანა დაიწყო. ესაა უახლოეს სახელმწიფოების წრე, რომელიც რუსეთს გარშემო აკრავს. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ რევოლუციის ტალღა აქ შეჩერდეს. უფრო მოსალოდნელი ის არის, რომ რევოლუცია გაფართოვდება და მთელს თანამედროვე კულტუროსან კაცობრიობას გადაახალისებს, როგორც ერთი საუკუნის წინათ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ მთელი დასავლეთი ევროპა გადაახალისა.

ყველაზე მნიშვნელოვანი და რადიკალური ცვლილებები გერმანეთში ხდება. ეს არ არის გასაკვირველი. დღეს თითქმის არც ერთ ევროპიულ სახელმწიფოში არ არსებობს ისეთი ღრმა წინააღმდეგობა საზოგადოებრივ შინაარსსა და პოლიტიკურ ფორმას შორის, როგორც გერმანეთში. ეკონომიური და სოციალური მხრით გერმანეთი ყველაზე დაწინაურებული ქვეყანაა დედამიწის ზურგზე. მისი ვაჭრობა და მრეწველობა განვითარების უმაღლეს საფეხურზეა ასული. მისი სოციალური კანონმდებლობა სანიმუშო მოვლენას წარმოადგენს დედამიწის ზურგზე: მუშა დაზღვეულია ავადმყოფობისა, უბედური შემთხვევისა, სიბერისა და უმუშევრობისაგან, საწარმოვო შრომისთვის საუკეთესო სანიტარულ პირობებში შექნილი. თანამედროვე ომის განმავლობაში გერმანეთის სოციალურმა კანონდებლობამ შებოჭა განუსაზღვრელი კონკურენცია და გადაჭარბებული ინდივიდუალიზმი და ერთგვარი სოციალისტური ელფერი მიიღო. გამოცხადდა, რომ ყოველ მოქალაქეს შეძლების მიუხედავად თანასწორი ვალდებულება აწევს შრომაში და თანასწორი უფლება აქვს მოსახმარ ნივთების განაწილებაში.

მაგრამ გერმანეთი ჩამორჩენილია პოლიტიკურად. ეს ქვეყანა ჯერ კიდევ ნახევრად კონსტიტუციურ სახელმწიფოს წარმოადგენს: წოდებრივი უპირატესობანი ჯერ კიდევ ძალაშია, კანცლერი პასუხის მგებელია იმპერატორისა და არა საკანონმდებლო დაწესებულებების წინაშე; საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი ხმის უფლება სავსებით განხორციელებული არ არის არც რეიხსტაგის, არც მით უმეტეს ლანდტაგების არჩევნებში. ეს გარემოება მით უფრო მწვავედ საგრძნობია, რომ რიცხვის მხრივ უკიდურესი დემოკრატია მეტის-მეტად ძლიერია გერმანეთში.

რუსეთის რევოლიუციამ კიდევ უფრო გააძლიერა გერმანული დემოკრატიის პრესტიჟი და გავლენა. კაიზერის მთავრობა იძულებული გახდა პოლიტიკურ რეფორმების გზას დასდგომოდა. რეიხსტაგში შესდგა საგანგებო კომისია, რომელსაც კონსტიტუციის გადაშინჯვა აქვს მინდობილი. უკანასკნელად სტოკჰოლმიდან მოსული ცნობების მიხედვით ამ კომისიას კონსერვატორების წინააღმდეგ ერთხმად დაუდგენია, რომ კანცლერი პასუხის მგებელი იყოს რეიხსტაგის წინაშე. ეს მეტის-მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. ამ აქტის წყალობით, გერმანეთი წმინდა პარლამენტარულ სახელმწიფოდ ხდება.

მაგრამ შინაური პოლიტიკური რეფორმებით არ ისაზღვრება რუსეთის რევოლიუციის გავლენა გერმანეთზე: რადიკალურად იცვლება ამ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებაც. ცნობილია რომ, რუსის ჟანდარმის შიშმა მთელი გერმანული ხალხი გააერთიანა მსოფლიო ომში. დღეს, როცა ეს რუსი ჟანდარმი იარაღ აყრილი და შებოჭილია, გერმანიის დემოკრატია იხსენებს, რომ მას თავისი საკუთარი გზა აქვს და აღარ შეუძლია იმპერიალისტებთან ერთად სიარული. და აი ის ხელს უწოდებს რუსეთის რევოლიუციურ ხალხს შესაერთებლად.

პეტროგრადიდან მოსული ცნობების მიხედვით მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სწვევია დანიის სოციალდემოკრატიის ლიდერი ბორგბიერგი და გერმანული სოციალ-დემოკრატიის საზავო პირობები გაუმჟღავნებია. ბორგბიერგის გადმოცემით გერმანული სოციალ-დემოკრატია აღიარებს ერის თვით გამორკვევის უფლებებს, საერთაშორისო სამედიატორო სამსჯავროს დაწესებასა და თან და თან იარაღის აყრის საჭიროებას; ამასთან ერთად პარტია მოითხოვს, რომ გერმანელებმა ყველა დაპყრობილი ადგილები დააბრუნოს, რუსეთის პოლონეთს სრული თავისუფლება მიეცეს, ბელგია, სერბია, მთაშავეთი და რუმინია ხელახლა აღდგეს; ბულგარეთს მიეცეს ბულგარელების მიერ დასახლებული მაკედონია, სერბიას კი საზღვაო გზა. ამას გარდა გერმანელი სოციალ-დემოკრატია შესაძლებლად სთვლის ლოტარინგიის საზღვარი საფრანგეთის სასარგებლოდ გასწორდეს.

საერთაშორისო ომი თითქო ჩიხში მოექცა. როგორც ინგლისის, საფრანგეთის და თვით რუსეთის სამინისტროების ყოფაქცევა ამტკიცებს?! იმპერიალისტურ წრეებს აღარ ძალუძთ ომის შეწყვეტა. საბედნიეროდ რუსეთის რევოლიუციამ ევროპიული დემოკრატია საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე გამოიყვანა და, თუ ნიშნები არ გვატყუებენ, დიდი მსოფლიო ომი სწორედ დემოკრატიის წყალობით შეწყდება.

გერონტი ქიქოძე.

## პ რ ე ს ა

### თბილისის „ბოლშევიკები“ და მუშათა საბჭო.

„თბილისის მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოს უწყებანი“ სწერს:

„როგორც მოსალოდნელი იყო თბილელი—ლენინის თანამოაზრე ორგანო „კავკ. რაბოჩი“ პეტროგრადელ „პრავდა“-სავით ილაშქრებს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წინააღმდეგ.

უკანასკნელ (№ 35-ში.) იგი აშკარად ლანძღავს ამ ორგანოებს. გაზეთი გვიკიჟინებს „ბავშობას“ „სუბუქობას“ და „სასირცხო მოქმედებას“. ჩვენ შორის იგი უარჰყოფს პატიოსნობას და გულახდილობას. ამ ამაზრზენ გამოსვლას არ ძალგვიძს პროტესტით არ შევხვდეთ არა თუ ჩვენ, არამედ არმიაც და პროლეტარიატიც. დეე, იცოდნენ ლენინის მოძმეთ, რომ ცეცხლთან ხუმრობა სახიფათოა, რომ მათი ხრიკები ბოლოს ვერ გაიტანს.

რა მიზეზით ჰქექს ლანძღვით და გინებით ჩვენზედ ეს გაზეთუნა?

როგორც თქვენც უწყით, შეიტყო რა მუშ. და ჯარ.-კაც. დეპ. აღმ. კომიტეტმა, რომ პეტროგრადელ მუშებისგან გაგზავნილ საჩუქართა შორის—ბრძოლის ველზე მიდის „პრავდას“ ნომრებიც,—მყისვე შეაჩერა იგი. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ საჩუქრად გაგზავნილია არა თუ „პრავდას“ პირველი ნომრები, არამედ მთელი მემარცხენეთა ლიტერატურა, განურჩევლად ფრაქციისა და ჯგუფებისა, ამისთვის „პრავდა“-ს აკრძალვა შეაჩერეს. ეს კეთილსინდისიერი საქციელი გახდა მიზეზად, რომ „ბოლშევიკები“ ისე უშვერად ჰლანძღავენ ჩვენს აღმას. კომიტეტებს.

ეს ვაჟბატონები სრულებითაც არ ემორჩილებიან რევოლიუციონურ დისციპლინას. ნუთუ დრო არ არის მათი შეჩერებისა?—ან ჩვენთან, ან არა და ჩვენს წინააღმდეგ—სხვა საშუალება არა გვაქვს.

# რევოლუცია

## დეპეშები

### რკინის გზების მოსამსახურეთა ყრილობა.

**პეტროგრადი.** 24 აპრილი. საგზაო მინისტრის ნეკრასოვის სახელობაზედ, ზასეცკის სადგურიდან მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე, რკინის გზების მოსამსახურეთა ყრილობის მიერ დაგზავნილია დეპეშები, რომელშიაც ნათქვამია: თუ რა საფრთხე მოელის სამშობლოს თუ მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატთა საბჭომ კვლავ ასეთი უნდობლობა გამოუცხად დროებით მთავრობას.

სადგურ ტონის მოსამსახურენი სრულ ნდობას უცხადებენ მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს და დროებით მთავრობას, რომელთაც ერი თავისუფლებისაკენ მიჰყავთ. დასასრულ კრებამ ამხილა ლენინი და მისი თანამოაზრენი.

### ამერიკელთა ყრილობა.

**ვაშინგტონი.** 23 აპრილი. აქ მოხდა ეროვნული თავდაცვის საბჭოს პირველი ყრილობა, მონაწილეობას იღებდნენ ინგლისისა და ამერიკის ექსპერტებიც. არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ამერიკისა და მოკავშირეთა საერთო მოქმედების გეგმა. ბალფურმა განაცხადა ინგლისელებისათვის დიდათ სასიხარულო იქნება ამერიკელთა ჯარის საფრანგეთში ნახვა.

### ქისტების თარეში.

**კიშინევი.** 26 აპრილი. ბენდერის მაზრიდან იტყობინებიან: ჯარიდან უკან ჩამორჩენილი ქისტები უწესოებას ახდენენ და ხალხს სძარცვავენ. მათ კაინარის ვოლოსტის ტყეებში დაუდვიათ ბინა. მათს შესაპყრობად ბენდერის სამაზრო კომისარმა კიშინევიდან დრაგუნთა ესკადრონი გაგზავნა.

### დივიზიის უფროსის მოკვლა.

**რიგა.** 26 აპრილი. უცნობებმა მოჰკლეს, ციმბირის მსროლელთა დივიზიის უფროსი, გენერალი კვორცოვი. ჯარის კაცები აცხადებენ, ამ მკვლელობაში წილი არ გვიძევსო. გამოძიება სწარმოებს.

### სახლების ჩხრეკა.

**მაკარია.** სანოვავის ძებნაში სახლების ჩხრეკა გახშირდა. ამის გამო საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდება გამოსცა, რომ თვითნებობით არავისა აქვს უფლება სახლების ჩხრეკისა; სახლის გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ მთავრობის ორდერით და მილიციის თანადასწრებითაო.

### პლანტაციების დაჩემება.

**ჟიტომირი.** 26 აპრილი. ბევრს მაზრაში გლეხებმა მემამულეებს ჭარხლის პლანტაციები ჩამოართვეს. „ცენტროსახარ“-მა ჯარის სარდალს მიჰმართა იღონოს რამე, ხოლო საგუბერნიო კომიტეტს სთხოვა ხალხს მოწოდებით მიჰმართოს, რათა დაეხმარნენ პლანტაციების დამუშავებაში სახელმწიფოს ინტერესის გულისათვის.

### ხელფასი სოფლად.

**ჟიტომირი.** 26 აპრილი. იზიასლავის მაზრაში გლეხებმა მემამულეებს ასე გაუწესრეს ხელფასი: მცირე წლოვანთა სამუშაო საათი დღის 15—20 კაპ. დედა-კაცისა—25—30 კ. მამაკაცისა—35—45 კ.

### მოძრაობა ბუხარაში.

**ტაშკენტი.** აპრილის 24. ბუხარიდან დაბრუნებულმა კომისარებმა პრეობრაჟენსკიმ და ველიჩკომ პეტროგრადის ტელეგრაფის სააგენტოს კორესპონდენტს უთხრა, რომ ჩვენს მოგზაურობას სასურველი შედეგი მოჰყვაო.

ემირის გადაწყვეტია მანიფესტში გამოქვეყნებული კონსტიტუციონური თავისუფლება მალე განახორციელოს. იმედია, რომ ახალ ბუხარელთა და ძველ ბუხარელთა შორის ატეხილ დავასაც ბოლო მოეღება და ხალხიც ახალ წესწყობილებას აღიარებს.

კომისართა სიტყვით, რეზიდენტი მილერის დიდად ხელს უწყობს ემირის კეთილ განზრახვას.

ქვის გზაზე მგზავრობა შეწყვეტილია. ტაშკენტში ხმა მოვიდა, თურქმენებმა ხანი ტახტიდან გადააყენეს და ქიველებიც მეტად შევიწროვესო.

### სახალხო საქალაქო არჩევნები ნოვონიკოლაევსკში.

**ნოვონიკოლაევსკი** აპრილის 20. ქალაქის სახალხო კრებაში ამორჩეულია 67 სოციალ-რევოლიუციონერი, 7 სოციალ-დემოკრატი და 1 ციმბირის სოც.-ფედერალისტი, 2 მოვაჭრე ერთი რესპუბლიკანელი, ერთი დემოკრატი და თითო მაჰმადიანთა და ებრაელთა წარმომადგენელი. არჩევნებზე ფედერალისტებზე ძლა იხმარეს. მათი პლაკატები ჩამოხიეს, ხოლო მათივე წითელ-მწვანე დროშები გაიტაცეს.

### ძალმომრეობა.

**ნოვონიკოლაევსკი.** აპრილის 20. რკინის გზის მუშების მიტინგი გაიმართა. მიტინგმა დაადგინა გაზ. „თავისუფალ ციმბირის“ და მისი სტამბის დატყვევება. მიზეზი ის იყო, რომ მათ „თავისუფალ ციმბირში“ იბეჭდებოდა წერილები, სადაც გაზეთი თხოულობდა ბოლშევიკების გაზეთს „ხმა ციმბირისა“ ერთი თანამშრომლის ფსევდონიმის ახსნას. იგი ამავე გაზეთის რედაქტორი და მუშათა დეპუტატების მეთაური გამოდგა. „თავისუფალ ციმბირის“ რედაქტორი დაატუსაღეს. იგი თავისუფალ რუსეთში ამგვარ ძალ-მომრეობის საწინააღმდეგოდ სიმშილით გაიფიცა.

### დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლა.

**მინსკი.** 25 აპრილი. კრება შეეხო რა დეზერტირების საქმეს გადასწყვიტა: სასტიკად ებრძოლოს მათ. შეპყრობილ დეზერტირებს ან სამხედრო უფროსს გადასცემენ ან სრულებით განდევნიან.

### ბრბო და ხულიგნები.

**სამარა.** აპრილის 25. ქალაქის მცხოვრებნი სასტიკად სდევნიან ადგილობრივ ხულიგნებს. (გუშინ ბრბომ ხელთ იგდო ორი ცნობილი ხულიგანი და ქუჩაზე სცერჩობელა დაუმზადა, მაგრამ მილიციის წყალობით სიკვდილს გადაარჩინეს.

## მოძრაობა პეტროგრადში

**პეტროგრადი.** 25 აპრილი. ოფიციალი. პეტროგრადის სამხედრო საოლქო შტაბმა 3 საათზე მიიღო ცნობა, რომ ქალაქის განაპირა უბნებში დიდი მოძრაობაა.

მუშათა და ჯარისკაცთა ბრბო თოფის სროლით დაიძრა ნევის პროსპექტიდან. ნევის პროსპექტზე მოკლულ-დაჭრილებიც აღმოჩნდნენ... უბედურობის თავიდან ასაცდენად მთავარ-სარდალმა სასახლის მოედანზე მეცხოვნეთა ნაწილი გაიწვია. დღის 4 საათზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ტელეფონით აცნობა შტაბს, რომ ჯარის გაწვევა საქმეს გაართულებს. ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად დელეგატებს გიგზავნითო.

მოისმინა რა დელეგატთა წინადადება მთავარ-სარდალმა ჯარი მყისვე დააბრუნა და ხალხის დამშვიდება ზემოაღნიშნულ კომიტეტს მიანდო.

ამასთანავე პრესაში და ქუჩებში შემდეგი განცხადებაა:

„ძმანო ჯარისკაცნო! ამ შფოთიან დროს, თუ აღმასრულებელმა კომიტეტმა არ მოგიწოდოთ, ისე ნუღარ გამოსჩნდებით შეიარაღებულნი ქუჩაში. მხოლოდ აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან თქვენი გამოყვანა. ყოველ იმ განკარგულებას, რომელიც თქვენს ქუჩებში გამოსვლას შეეხება, აღმასრულებელ კომიტეტის ბეჭედი უნდა ჰქონდეს. ხელს უნდა აწერდნენ ქვემოდ ხსენებული პირნი: „ჩხეიძე, სკობელევი, ბინასიკი, სოკოლოვი, ჰოლიმანი, ფილიპოვსკი და ბოგდანოვი“.

ამასთანავე აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ ჰრაცხს, აღნიშნოს, რომ ჯარი კვლავ მთავარსარდლის განკარგულებაში იმყოფება და ისევ განაგებს მის საქმეებს“.

## დროებით მთავრობის განცხადება

**პეტროგრადი.** აპრილის 25. როდესაც ხალხის ძლიერმა ნებისყოფამ ძველი წესწყობილება დაამხო და საქმის წინ გასაძღოლად ჩვენ ამოგვირჩია, მაშინვე ვგრძნობდით რა მძიმე უღელი ვიტვირთეთ და რა პასუხისმგებლობას ვკისრულობდით სამშობლოს ბედის წინაშე. მაგრამ არ შევუშინდით ათას დაბრკოლებას იმ იმედით, რომ ხალხის ერთსულოვანი მოქმედება შეგვიმსუბუქებდა მძიმე ტვირთს და შრომას. ჩვენი იმედი გაამართლა ერის მაშინდელმა საქმიანობამ. დამფუძნებელი კრების მოწვევა, მოქალაქეობრივი თავისუფლება, ადგილობრივ დემოკრატიულ თვითმართველობის შექმნა, არმიის წევრთა მოქალაქეობრივ უფლებებით აღჭურვა, ამასთანავე სამხედრო დისციპლინის შენახვით, ბრძოლის გაგრძელება მოკავშირეებთან ერთად, აი რას მოითხოვდა მაშინ ერის სურვილი. ამ პროგრამით შესდგა დროებითი მთავრობა, რომელმაც გარს შემოიკრიბა ყველა ჯგუფების წარმომადგენლები. თანახმად ხალხის სურვილისა, იგი შეუდგა ზემოაღნიშნულ მიზანთა განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ მცირე დრომ განვლო ხალხს, ახლაც შეუძლიან მისი მოქმედების შეფასება. გარდა იმისა, რომ დროებითი მთავრობა მხნედ შეუდგა ერის მრავალ საჭიროებათა დაკმაყოფილებას, მტრისგან დაფარვას სასურსათო კრიზისის შესუსტებას, ტრანსპორტის და ფინანსების გაუმჯობესებას, მან რამდენიმე რეფორმაც განახორციელა, რეფორმები გარდაჰქმნის რუსეთს სრულ თავისუფლების საფუძველზე. ამასთანავე გამოქვეყნდა ამნისტია და სიკვდილით სასჯელიც გაუქმდა. დამტკიცებულია სრული თავისუფლება ერების და სარწმუნოებისა, თავისუფლება ყრილობათა და კავშირთა, დაწყებულია ადგილობრივ მმართველობის და თვითმართველობის რეორგანიზაცია, ფართე დემოკრატიულ საფუძველზედ. ამისათვის დაწყებულია არჩევნები— ქალაქის საბჭოებისა და მილიციისა. შემუშავებულია და მოკლე ხანში გამოქვეყნდება წვრილი სასოფლო ერთეულობის ერობა, სრული რეფორმა საგუბერნიო და სამაზრო ერობათა, ადგილობრივ მთავრობის ორგანოებისა, ადგილობრივ სასამართლოსი და ადმინისტრატიულ იუსტიციისა, შემუშავებულია გეგმა დამფუძნებელ კრების არჩევნებისა, რომლითაც მონაწილეობას მიიღებს ყველა განურჩევლად სქესისა, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით.

ამ დადგენილების შესამუშავებლად, შესდგება საგანგებო კასა, საქმეს მალე შეუდგება, ხოლო რაც კი არმიას შეეხება, იმ დემოკრატიულ რეფორმებს უსაცილოდ განხორციელდება.

არმიის შინაგან ორგანიზაციის აღსადგენად მთავრობა არმიის წევრებს სრულს მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებებით აღჭურვას დააფუძნებს მათთვის სამხედრო თვითმართველობას და განამტკიცებს მასში ისეთ სამხედრო დისციპლინას, რაც თავისუფალ დემოკრატიულ სულს შეესაბამება. სიმშილის თავიდან ასაცდენად წარსულ და მომავალ წლის პურის მოსავალი მთავრობამ სახელმწიფოს საკუთრებად აღიარა და პურის დასარიგებლად სახელმწიფო წესრიგი დაადგინა.

დამფუძნებელ კრების და მიწის საკითხის გადასაწყვეტად დაარსებულია უმთავრესი საადგილ-მამულო კომიტეტი, რომელშიაც მონაწილეობენ ადგილობრივი საადგილ-მამულო კომიტეტები და ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციების და ჯგუფთა წარმომადგენლები. რაც შეეხება მთავრობის დამოკიდებულებას ნაციონალურ საკითხებთან,—იგი გამომჟღავნებულია მის აქტებში, რომელმაც ფინლიანდიას ავტონომია მიანიჭა, ხოლო პოლონეთი სრული უფლებებით შეჰმოსა.

ამასთანავე, თავის საგარეო პოლიტიკაში მან უარჰყო სხვა ერთა თავისუფლების შეზღუდვა, ძალით დაპყრობა სხვისი ტერიტორიისა და აღიარა სხვა ერთა მოწინავე დემოკრატიასთან ერთად საერთო მშვიდობიანობის დამყარება, რომელიც ხალხთა თვითგამორკვევაზე იქნება დაფუძნებული. მაგრამ ყველა ამასთან დროებით მთავრობა ვერ დაიდუმებს, რომ ამ მიზანთა განხორციელებას წინ დიდი საფრთხე ელობება.

ხალხის მიერ სამოქმედოდ მოწვეული დროებითი მთავრობა აღიარებს თავის თავს ერის დამცველად და მის ნებათა აღმასრულებლად, ამისთვის იგი უარჰყოფს ყოველივე ძალდატანებას და მოითხოვს სურვილისამებრ დამორჩილებას. იგი საჭიროობს ძალას არა მარტო ფიზიკურს, არამედ მორალურსაც. ამისათვის მას ერთხელაც არ აუქცევია გზა, ერთი წვეთი სისხლიც არ დაუღვრია. სამწუხაროდ, ახალი სოციალური დამოკიდებულებანი საფრთხეს უმზადებენ თავისუფლებას.

დროებითი მთავრობა ახლავე საქვეყნოდ აღიარებს, რომ ამგვარ პირობებში მისთვის მეტად გაძნელდება საქმიანობა და ამით დაჰღუპავს სამშობლოს, როგორც შინ ისე ბრძოლის ველზე. რუსეთის წინაშე აღიმართა საშინელი აჩრდილი შინაურ ბრძოლისა და ანარქიისა, რომელიც დაამხობს ჩვენს სანატრელ თავისუფლებას. ისტორიაში ცნობილია გზა, რომელსაც ერი დესპოტიზმისაკენ მიჰყავს. ეს გზა თავისუფალ ერს არ მოუხდება. მიტომ ესდენ ურიცხვ მსხვერპლთა მიერ შეძენილ თავისუფლების დასაცველად მოგიწოდებთ ყველას და ყველგან. გავაფართოვებთ ჩვენს შემადგენლობასაც და სახელმწიფოს საპასუხისმგებლო მუშაობაში მოვიწვევთ იმ ჯგუფთა წარმომადგენლებსაც, რომელთაც დღემდის არ ჰსურდათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. რუსეთის მოქალაქენო! სამშობლოს ბედი დღეს თქვენ ხელთ არი! მთავრობა უთქვენოდ უძლურია, ხოლო თქვენთან ერთად შეჰქმნის ერის ბრწყინვალე მომავალს.

გახსოვდეთ, რომ დისციპლინის და თავისუფლების დასაცავად საჭიროა ძალა. და ეს ძალა კი თქვენ უნდა შეჰქმნათ. მხოლოდ ამ გზით შეგიძლიათ მოაშოროთ სამშობლოს ათასი საფრთხე და მიიყვანოთ იგი დამფუძნებელ კრების ბრწყინვალე დღემდე!

## კერენსკის განცხადება

**პეტროგრადი.** 25 აპრილი. იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიის კომიტეტს, პეტროგრადის მუშათა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, შრომის ჯგუფის ფრაქციას და სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგი განცხადებით მიჰმართა. „ამხანაგებო! მაშინ, როდესაც რევოლიუციამ მშრომელი დემოკრატია დაურაზმავი დახვდა როდესაც ცენზიანი რუსეთი მთავრობის მოწესრიგებას სათავეში ჩაუდგა, მე ჩემის პირადის პასუხისმგებლობით და რისკით ვალდებული ვიყავ მეკისრა დემოკრატიის წარმომადგენლობა დროებით მთავრობაში და მეწივნა მძიმე უღელი იმ ორ არსებით ძალთა შემკავშირებლისა, რომელთაც წილად ჰხვდათ ძველი წესწყობილების დამხობა. მე ჩემი მოვალეობა მოვიხადე და ძალღონეს ვპოვებდი იმ ნდობაში, რაიც დემოკრატიამ და ჯარმა გამომიცხადა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პირით. მე შევასრულე ეს საქმე, შეიძლება მეტად სამძიმო და პასუხსაგები კერძო პირისათვის, ჩემის აზრის მიხედვით და მივდევდი ჩემს სოციალისტურს და რევოლიუციონურს სინიდისს ეხლა მდგომარეობა არსებითად შეცვლილად მიმაჩნია. ერთის მხრივ თანდათან რთულდება მთელი ქვეყნის საერთო მდგომარეობა, მეორეს მხრივ მშრომელი დემოკრატიის ორგანიზაციული ძალღონეც გაიზარდა, რომელიც აღარ შეიძლება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მახლობელი და პასუხისმგებელი მონაწილეობა არ მივაღებინოთ, რომელიც სარევოლიუციო მთავრობას ახალს ძალღონეს და აუცილებელ ავტორიტეტს შეჰმატებს, რათა მის გარშემო თავი მოიყაროს ქვეყნის მთელმა ცოცხალმა ძალამ, რათა გადალახოს ყოველისფერი, რაც კი რუსეთს თავის ისტორიულ ფართე გზაზე გამოსვლას უფერხებს. ამ პირობებში ვფიქრობ, რომ მშრომელ დემოკრატიას შეუძლიან იკისროს მთავრობის ტვირთი მხოლოდ დაუყოვნებლივ არჩევნებისა და თავთავის ორგანიზაციების ფორმალურ რწმუნებულების მიღების შემდეგ. ეხლა კი, თქვენის გადაწყვეტილების მოლოდინში ბოლომდის ვზიდავ მძიმე ტვირთის ფაქტიურად ამსრულებლისას იმ მოვალეობათა, რაიც დაკისრებული მაქვს. ა. კერენსკი“.

## ეროვნული საკითხი

(დეპეშა)

### გალიციის და ბუკოვინის ახალი მმართველობა.

**პეტროგრადი,** 24 აპრილი. (დაგვიანებულია) გალიციის საგენერალ გუბერნატოროს სხდომაზე გალიციისა და ბუკოვინის ახალს მართვა-გამგეობის შესახებ გადასწყდა, რომ მმართველობის სათავეში კომისარი უნდა იდგეს. კულტურულსა და ეკონომიურს საკითხებს მცხოვრებლნი თვითონ მოუვლიან რათა არმია უზრუნველყოფილ იქმნეს დროებითი მთავრობის კომისარი სამხრეთ დასავლეთის ფრონტის ჯარის უფროსს უნდა ექვემდებარებოდეს.

### „ერთა კავშირი რუსეთში“

აპრილის თვის განმავლობაში გაზეთ „რუსკაია ვოლია“-ს „დეპეშათა ზალა“-ში გაიმართა მთელი რიგი ლექციებისა, რომელთა საერთო სათაური იყო: „ერთა კავშირი რუსეთში“ წაიკითხა ხუთშაბათს, 13 აპრილს, პროფესორმა ნ. ა. გრედესკულმა. მეორე ლექცია თემაზე: „თავისუფალი ფინეთი“, წაიკითხა პრივ. დოც. კ. ფ. რედისკულმა. ლექცია „თავისუფალი საქართველო“ წაიკითხა ნ. ნიკოლაძემ. განზრახული აქვთ წაიკითხონ კიდევ ოთხი ლექცია; „თავისუფალი ესტონეთი“, „თავისუფალი უკრაინა“, „თავისუფალი ლიტვა“, „თავისუფალი სომხეთი“.

# ომი და ზავი

## დეპეშები

### მთავარსარდლის ცნობა

**პეტროგრადი.** 26 აპრილი. დასავლეთის ასპარეზი. ვილნოს მიმართულებით, სმორგონ-კრევოს მხარეს და ვლადიმირ ვოლინის მიმართულებით ზატურცი-შელვოვის მიდამოებში მოპირდაპირე მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს. ბრეჟანის ჩრდილო აღმოსავლეთათ ზარბაზნების სროლაა, მტრის ბატარეიაში ძლიერი აფეთქება მოვახდინეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე ჩვეულებრივი ზვერვა და სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.** სენნეს ჩრდილო დასავლეთით ჩვენმა რაზმებმა ჯუნაფრუსაკენ და წინ წაიწიეს. დანარჩენ ხაზზე სროლა და ზვერვაა.

**მფრინავთა მოქმედება.** კორელიჩის მიდამოებში ზარბაზნებით ჩამოვაგდეთ გერმანელების საფრენი, რომელიც მტრის მავთულების ხლართებს იქით დაეცა. ბრეჟანის სამხრეთ მიდამოებში გამანადგურებელმა „ილია მურომეცმა“ გერმანელების 2 საფრენი ჩამოაგდო, რომლესიც მტრის მხარეს დაეცა.

### საფრენების თარეში

**კიშინევი.** 25 აპრილი. ბენდერიდან იტყობინებიან: აკერმანის მაზრაში, სადგურ ბესარაბსკაიას თავზე მტრის საფრენმა გადაიარა, ყუმბარები ჩამოჰყარა, თუმცა ზიანი არ მიუყენებია.

### გერმანელების განზრახვა

**კიშინევი.** 35 აპრილი. რუმინულ გაზეთებში გერმანულ გაზეთებიდან ამონაწერებია მოყვანილი, სადაც ნათქვამია: მოლდავია რუსეთის ბრძოლის ხაზის გასაღებია და თუ ჰინდენბურგის გეგმები სისრულეში მოვიდა გერმანელი მეომრები შესძლებენ შეანგრიონ ეს რკინის ბჭე. მაშინ რუსეთი დაჰკარგავს არა მარტო ბუკოვინას, არამედ მიწა-წყალს რკინის გზებით დაქსელის სტრატეგიულ ცენტრებიანად.

### ზღვაზე

**სევასტოპოლი.** 25 აპრილი. ჩვენმა წყალქვეშამ ოსმალების დატვირთული სანდალი და დაღუპა. ზედმყოფთ თავს უშველეს.

**პარიზი.** 25 აპრილი. დღის ოფიციალი ცნობა. სომას და უაზს შუა ზარბაზნების სროლაა. იტანხურის მიდამოებში გერმანელების მოულოდნელი შემოტევა მოვიგერიეთ. პანთეონის მიმართულებით მოვიგერიეთ გერმანელების მიერ ღამე მოტანილი იერიშები. ვოკლერის მინდორზე, კრანას მიდამოებში ცხარე ბრძოლა იყო ზარბაზნებით. ვოკლერის ჩრდილოეთით მოულოდნელის შეტევით ავიღეთ მტრის სანგარი და ხელთ 90 ტყვე. რეიმსის ჩრდილოეთით და დასავლეთით გერმანელები უნაყოფოდ სცდილობდნენ გუშინ დაკარგულ თხრილების დაბრუნებას. აქ გუშინ 120 გერმანელი დავატყვევეთ. პრონას ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელების პატარა სიმაგრე ავიღეთ და მაღალ მთის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელების ძლიერი იერიში მოვიგერიეთ, მტერი დავაზარალეთ და ტყვეებიც წამოვიყვანეთ.

**პარიზი.** 25 აპრილი. საღამოს ოფიციალი ცნობა. სუასონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შმენ-დე-დამის გზაზე, მოპირდაპირის ქვეითა ჯარი არ ამოქმედებულა. მტერი ზარბაზნებს უშენდა სერნი-იურტებიზის მიდამოებს და კრანს.

**მფრინავთა მოქმედება** 8-დან 24 აპრილამდე სულ ჩამოვაგდეთ გერმანელების 25 საფრენი, მტრის მხარეს დაეშო დაზიანებული გერმანელების 5 საფრენი.

**პარიზი.** 25 აპრილი. მთელ ბრძოლის ხაზზე ზარბაზნების ქუხილია. ბულგარელების სამი იერიში მოიგერიეს. ბორისლავის მახლობლად მომქმედი მტრის რაზმი მალარუეს მთის სამხრეთით სროლით გაგვიფანტეთ.

**ლონდონი.** 25 აპრილი. საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარ ბანაკის ცნობა. ფრენუას და ლოდისს შუა მრის მხრივ ღამე ცხარე სროლა იყო ზარბაზნებისა. ჩვენც სროლითვე ვუპასუხებდით. ღამე ჰევრეშაპელის და ფოკისარის მიდამოებში მოულოდნელად თავს დავესხით მტერს. არმანტურის ჩრდილოეთით მტრის პატარა რაზმი დაეცა ჩვენს სანგრებს, მაგრამ ხელჩართული ბრძოლით მოვიგერიეთ და რამდენიმე მეომარიც დავატყვევებინეთ. ჩვენც რამდენიმე კაცი დაგვაკლდა.

**ლონდონი.** 26 აპრილი. ოფიციალი ცნობა. ფრენუას მიდამოებში გერმანელების სამაგიერო იერიშები მოვიგერიეთ. მარცხენა ფრთაზე მტერმა უკან დაიხია.

**რომი.** იტალიის მთავარ ბანაკის ოფიც. ცნობა. ვალიარსოს ხასზე მტრის რაზმი, ზარბაზნის დაშენის შემდეგ შეეცადა ზურნის აღმოსავლეთით მდებარე ჩვენი სანგრები აეღო, მაგრამ დაზარალებული მოვიგერიეთ. მტრის მეორე რაზმმა ტოლმინოს ჩრდილო-დასავლეთით ვოდილეს სანგრებს შემოუტია, მაგრამ უკუვაგდეთ. გორიცას და კარსოს მიდამოებში მტერი ჩვეულებრივ უშენდა ზარბაზნებს ჩვენს სიმაგრეებს დოსსოს მწვერვალზე, მაგრამ მალე ჩავაჩუმეთ. მოსკობალას მახლობლად ზარბაზნების სროლით მტრის სამხედრო საწყობი ავაფეთქეთ.

### მაკენზენი კონსტანტინოპოლში

**კიშინიოვი.** 25 აპრილი. რუმინეთის გაზეთების ცნობით მაკენზენი კონსტანტინოპოლში წავიდა ოსმალეთის ჯარის რეორგანიზაციისათვის და ინგლისელთა წინააღმდეგ ექსპედიციის ხელმძღვანელად.

### დეპუტატ დემიდოვის შთაბეჭდილებანი ბრძოლის ველზე.

**პეტროგრადი.** აპრილის 25. ბრძოლის ველიდან დაბრუნებულმა დეპუტატ დემიდოვმა განაცხადა, რომ სამხრეთ დასავლეთის ასპარეზს დღეს დიდი საფრთხე აღარ მოელისო. ახლა იქ დიდი ენერგიული მუშაობა სწარმოებს და საქმეც სასურველ დონეზე დადგაბაო.

... ასიის ფრონტზე კი მას შემდეგ, ... ჩვენმა ჯარმა მუში დასტოვა, ... გერმანელთა მთელი ძალა მო... შეგროვდა, რათა აქედან მოი... ის ინგლისელთა გაფრთხილებული ...შებიო. ზემოხსენებულ ადგილებში მოპირდაპირეს ორი კორპუსი რეზერვი ჰყოლია.

გერმანელთა ჯარი ოსმალეთში დღითი დღე ძლიერდება; ზოგიერთ ნაწილებს პალესტინაში ჰგზავნიან რათა იქ ინგლისელებს უჯელონ.

სიმართლეს მოკლებულია ის გავრცელებული ამბავი, ვითომც ოსმალებს დასავლეთ ასპარეზზე დიდძალი ჯარი მოეგროვებინოსო. შეიძლება მცირე რამ ნაწილი, ჰყავდეთ ამ ფრონტზე გადმოყვანილი, მაგრამ ეს ფრონტის მდგომარეობას სრულებითაც არ შესცვლისო.

## ბრძოლის ველზე

რეიტერის ოფიციალი სააგენტო იუწყება, რომ ამ ჟამად გერმანელებს 219 დივიზია ჰყავსო. ამ ჯარიდან 143 დივიზია საფრანგეთის ფრონტზეა, ხოლო 76 დივიზია—რუსეთისა, რუმინეთისა და ბალკანეთის ბრძოლის ველებზეა. ასეთი განაწილება გერმანელთა ძალისა ამტკიცებს, რომ კვანძი ამ ომის ბედისა ისევ დასავლეთის ასპარეზზე რჩება, სადაც—ფრანგულ და ინგლისურ გაზეთების ცნობით—მოკავშირენი თითქმის ორჯერ მეტნი არიან გერმანელებზე. მაგრამ ეს მოსაზრება მაინც არ უარჰყოფს მეორე მოსაზრებას: შესაძლებელია ავსტრო-გერმანელებმა მალე შემოუტიონ რუსეთის ჯარს; რადგან აღმოსავლეთის ფრონტზე ამ ჟამად სტრატეგია სავსებით ემორჩილება პოლიტიკას, ამიტომ გერმანეთის მთავარი შტაბი იძულებულია ელოდოს მახლობელ შედეგს რუსეთის რევოლიუციისას, რომელმაც საგარეო პოლიტიკაც დაიმორჩილა და ზავის საკითხი სადღეისო საკითხად გამოაცხადა. ეს საკითხი ამ ცოტა ხანში გადასწყდება სტოკჰოლმში საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე და ამ გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაიწყოს ახალი ხანა მსოფლიო ომისა ახალ კომბინაციებით და მებრძოლთა გადაჯგუფებით.

დასავლეთის ბრძოლის ველზე უმაგალითო ბრძოლას ოდნავ დაეტყო შენელება, რაიც წინამორბედი უნდა იყოს ახალ ქარიშხალისა.

კავკასიაში ზვერვა და მცირე შეტაკება ხდება, მაგრამ არ იუწყებიან—სად და როგორ შეიცვალა ბრძოლის ველი. მეტად საინტერესოა ერზინჯანის მიმართულება, სადაც, ცხადია, ცვლილება უნდა მომხდარიყო, მაგრამ შტაბი სდუმს ამის შესახებ.

სამხრეთ სპარსეთში რუსის ჯარი მდინარე დიალას ისევ მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა, ხოლო ქ. სენედან, ქერმანშაჰის ჩრდილოეთით, რამდენიმე წინ წაიწია.

მ. ალ—ლი.

# უკანასკნელი დეპეშები

**საბჭოთა წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ დამფუძნებელი კრება ენკენისთვეზე გვიან არ იქნება მოწვეული.**

—

**დღეს, პეტროგრადში საგანგებო სხდომაა სახელმწიფო სათათბიროსა. საგანგებო დეკლარაციით გამოვლენ მიხეილ როძიანკო და მეორე სათათბიროს თავმჯდომარე გოლოვინი.**

**ავად-მყოფობის გამო სამხედრო მინისტრი გუჩკოვი სხდომაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.**

**პირველი სათათბიროს წევრები: რამიშვილი, ვინავერი, შიდლოვსკი და კუზმინ-კარავაევი კი უსათუოდ დაესწრებიან.**

—

**„ნოვოე ვრემია" პეტროგრადში მომხდარ ამბებს ისე უყურებს, როგორც ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებას, ამ გალაშქრების მიზანი ხალხის თავისუფლებისადმი ლტოლვის უხეში ძალით ჩაქრობაა.**

—

**დღეიდან სინოდის სხდომები დაიწყება.**

# „საქართველოს" დეპეშა

**ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტის პროტესტი.**

**ქუთაისი.** აპრილის 26. ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტმა, საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრეს, ეპისკოპოზ ლეონიდეს, შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი მხურვალე პროტესტს უცხადებს პროფესორ ბენეშევიჩს, რომელსაც სწადიან საქართველოს ეკლესიას ანტიკანონიური და ექსტერიტორიალი ავტოკეფალიის პრინციპი თავს მოახვიოს. ღრმადა გვრწამს, რომ თქვენი მეუფება ენერგიულ ზომას მიიღებს და დაიცავს ავტოკეფალურ იბერიის ეკლესიის კანონიერსა და ტერიტორიალურს პრინციპს, სიმართლისა და ხალხის კეთილდღეობისათვის. დეპეშას ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე ვასილ წერეთელი.

—

**ქუთაისი.** აპრილის 26. ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტმა პროფესორ ბენეშევიჩს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტი მხურვალე პროტესტს აცხადებს იმ ანტიკანონიურსა და ექსტერიტორიალურ ავტოკეფალიის პრინციპზე, რომელიც თქვენ გსურთ საქართველოს ეკლესიას თავს მოახვიოთ. დაჟინებით ვთხოულობთ ბოლო მოეღოს ქართულ ეკლესიის ტყვეობას და მიენიჭოს კანონიერი და ტერიტორიალური ავტოკეფალია. დეპეშას ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე

ვასილ წერეთელი.

# ახალი ამბავი

◆ **რედაქცია აცხადებს** რომ ალექსანდრე ახმეტელაშვილი ჩვენის გაზეთის თანამშრომელი აღარ არის.

◆ **მძარცველების შეპყრობა.** თბილისში ხმა გავრცელდა, რომ თბილისის ფოსტის გამძარცველთა რამდენიმე მონაწილე უკვე შეიპყრესო.

◆ **ქართველი ვექილი ქალი.** თბილისის ვექილთა წრეში ჩაირიცხა იურისტი ქალი მარიამ ალ. ჩხეიძე. თბილისის სამოსამართლო პალატის რაიონში ეს პირველი ვექილი ქალია.

◆ **არქიეპისკოპოსი პლატონი** მაისის 1-ს პეტროგრადში მიემგზავრება.

◆ **სამკურნალო ადგილების მოწყობის გამო.** მაისის 6 უნდა დაიწყოს თბილისში სამკურნალო ადგილების მომწყობთა და ხელის შემწყობთა ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობის მიმღების მსურველი ბევრია, აგრეთვე საორგანიზაციო ბიუროში ბევრი მოხსენებაა წარმოდგენილი კრებაზე წასაკითხად. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა გადასწყვიტა ხელი შეუწყოს კრებას და კრების დადგენილებანი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ კავკასიისათვის, ეხლავე განახორციელოს. მაგრამ კრების ჩაშლა მოუწადინებიათ ჩრდილო კავკასიის მადნეულ წყლების ორგანიზაციებს. როგორც ამ წყლების დროებითი გამგე ფილიპოვი აცნობებს კრების საორგანიზაციო ბიუროს, წყლების ყველა მომქმედ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს შეერთებულ კრებაზე დაუდგენიათ არ მიიღონ მონაწილეობა ყრილობაზე, რადგან ეს მათის აზრით, სარაიონო კრებაა და მნიშვნელობა არ ექნებაო; საერთო კრება მოსკოვში გაიმართება შემოდგომაზე, რომელიც ძირითად ცვლილებას შეიტანს სამკურნალო-სააგარაკო ადგილების მოწყობა-მართველობაში. მიუხედავად ასეთი დადგენილებისა, ყრილობის მომწყობი საორგანიზაციო ბიურო მუშაობას განაგრძობს და ყრილობა თავისს დროზე (მაისის 6-ს) დაიწყება.

◆ **კრება.** დღეს, აპრილის 28, საღამოს 7 საათზე დანიშნულია ხელმეორე კრება ქალთა მეოთხე გიმნაზიის მოწაფეთა მშობლებისა. მშობლებს უმორჩილესად სთხოვენ დაესწრნენ კრებას, რადგან საჭირო კითხვებია გადასაწყვეტი.

◆ **დიაკონ-მედავითნეთა კრება.** 4 მაისს, საღამოს 6 ნახ. საათზე დანიშნულია საზოგადო კრება ამიერ-კავკასიის დიაკონ-მედავითნეთა კავშირებისა. თბილისის კავშირი სთხოვს წარმომადგენლებს უეჭველად დაესწრნენ. ამ კრებაზე ფრიად საყურადღებო საკითხებია განსახილველი.

◆ **თბ. ფოსტის** კანტორასთან არსებულ სახელმწიფო შემნახველ კასაში № 1082 მაისის პირველიდან ოპერაციის წარმოება მხოლოდ დილის რვა საათიდან შუადღის 2 მდე იქნება.

◆ **უკვალოდ დაიკარგა** სტეფანე ღვთისავარის ძე უშიძე. იგი 1916 წ. ღვინობის თვეში სოფ. შტოლთიდან (თიანეთის მაზრა) შირაქში მიდიოდა. უშიძე ხანში შესული კაცი იყო, დაახლოვებით 60 წლისა. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ ოჯახი სთხოვს აცნობოს, შემდეგის ადრესით: სად. კასპი. სოფ. ლამისყანა, მედავითნე ალექსი უშიძეს. ცნობის მომწოდებელს საჩუქრად 20 მან. მიეცემა.

◆ **ბარათები სურსათ-სანოვაგისთვის.** ქალაქის სასურსათო კომიტეტი შეუდგა ძირითად ორგანიზაციის მოწყობას პურის, ფქვილის და შაქრის ბარათებით დასარიგებლად. ამ საქმის მოსაწესრიგებლად უნდა შესდგეს საგანგებო კომისია, რომელშიაც, გარდა სასურსათო კომიტეტის წევრებისა, მიწვეული იქნებიან წარმომადგენელი საკოოპერაციო ფურნისა, მეპურეებისა და მეპურე-მუშებისა.

◆ **ექიმი არუთინოვი და ჯარის კაცთა საბჭო.** ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამხედრო-სასანიტარო კომისიამ მოისმინა გამოძიება შესახებ უფროსი ექიმის არუთინოვისა და დაადგინა, რომ დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქმნას იგი ქალაქის საავადმყოფო უფროს ექიმს თანამდებობიდან. არუთინოვი დიდი ხანია უფროს ექიმად არის არამიანცის სახელობისა და სხვა საქალაქო საავადმყოფოებისა ნავთლუღში. ამავე დროს იგი ქალაქთა კავშირის თბილისის ლაზარეთების უფროსი ექიმის სახელსაც ატარებს. საავადმყოფოებ.ს და ქალაქის ლაზარეთების მოწყობილობის შესახებ ხშირად იყო საჩივრები, მაგრამ წინად ყოველივე ამას დიდის ენერგიით მალავდნენ. ეხლა არუთინოვის საქციელმა თავი ველარ დამალა და ყველაფერი გამოაშკარავდა. ჯარის კაცთა საბჭოს გადაწყვეტილება ჯერჯერობით არუთინოვს ეხება, როგორც თბილ. ქალაქის საავადმყოფოთა უფროს ექიმს, რაც შეეხება ქალაქთა კავშირის ლაზარეთებში იმის მოქმედებას ანუ უმოქმედობას, ამაზე შემდეგ ითათბირებს საბჭო.

◆ **საგასტრონომო ვაჭართა და მრეწველთა კავშირი.** თბილისში შესდგა საგასტრონომიო მაღაზიებისა და და ძეხვების ქარხნების პატრონთა კავშირი. დამფუძნებელმა კრებამ კავშირის გამგეობის წევრებად აირჩია ს. ყაველაშვილი, ა. არუთინოვი და ა. აგაიანცი, მათ კანდიდატებად—ა. ჭანტურია და ზ. თოიძე. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ არიან ი. ქვინიხიძე, თ. სიმონოვი და ლ. ემინოვი.

◆ **გაქურდვა.** დავ. დავითაშვილი, საქართველოს საეკლესიო მართველობის მდივანი როცა ის კრებაზე იყო თანამდებობის გამო, გაქურდეს. ქურდებმა მისი სახლი გასტეხეს და 400 მანეთის ნივთები წაიღეს.

◆ **მძარცველთა მაძებარნი.** რკინის გზის ზოგიერთ მოსამსახურეთაგან შესდგა კომისია, რომელსაც აზრად აქვს თვალ-ყური ადევნოს რკინის გზაზე და დაიჭიროს ფოსტის გამძარცველები.

◆ **დახურეს და დაბეჭდეს** ორთაჭალაში ბაღი-სასადილო „ელდორადო", რომელსაც ფარულად ღვინის გაყიდვა დაჰბრალდა.

◆ **საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის** წევრებს კრება ექნებათ აპრილის 30-ს. კრებამ თავისი აზრი უნდა გამოსთქვას სასურსათო საქმეების ორგანიზაციის შესახებ და თანამდებობის პირნი აირჩიოს. პრეზიდიუმის წევრმა შემეტოვმა აპრილის 23-ს თავი დაანება თანამდებობას; როგორც ამბობენ, ნ. ელიავა და გ. კაფიევიც თავს ანებებენო.

**გორი.**

„30 აპრილს, 1 საათზედ, ქ. გორში, პირველ-დაწყებით უმაღლეს სკოლის შენობაში დანიშნულია თბილისის გუბერნიის პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კავშირის გორის ფილიალურ განყოფილების წევრთა საზოგადო კრება".

# ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

—

**საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მთავარ კომიტეტმა მიიღო რა მხედველობაში, რომ დღევანდელი მომენტი საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის დროებით მმართველობისაგან განსაკუთრებულ ხარჯებს მოითხოვს, დაადგინა გადასცეს მას 5000 მან.**

—

**ეროვნულ დემოკრატიული კლუბი.**

20 აპრილს დ. ზესტაფონში გაიხსნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კლუბი.

—

**თბილისის რაიონული კრება.**

26 აპრილს სამეურნეო ბანკის სადგომში გაიმართა ეროვნ.-დემოკ. პარტიის თბილისის მესამე და მეოთხე უბნის წევრთა კრება, რომელსაც დაესწრო ორასზედ მეტი წევრი.

ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს კრების თავმჯდომარემ გ. ბ. გვაზავამ, ა. ასათიანმა და შ. ქარუმიძემ, რომელთაც მკაფიოთ განმარტეს პარტიის პროგრამა და დანიშნულება. კრებამ დიდის აღტაცებით მოისმინა ორატორების სიტყვა განსაკუთრებით ნაციონალურ საკითხზედ.

შემდეგ არჩეულ იქმნენ მესამე და მეოთხე საკომისარო რაიონების ეროვნული კომიტეტები: ყიფიანი ვ. რ., ჭავჭანიძე ერ. ი., ყაზახიშვილი ს. ნ., იოსელიანი ევგ. ონ., გოთუა პ. ა., გვაზავა გ. ბ., კურცხალია ი. კ., ცხვედიანი ამ. ნ., გველესიანი ი. ი., ჯუმუხაძე დიმ. დ., ქ-ნი ცხვედიანისა თ. ი., მიქელაძე სტ. მ., ვარაზაშვილი სოფ., ქარსელიშვილი ვას. ეს., გურჯი., მაჭავარიანი დ. ი., ოქროპირიძე პავლე, მათიაშვილი გ. კომიტეტის თავმჯდომარეთ ამორჩეულ იქნა ვ. რ. ყიფიანი.

# მევენახეობის კრიზისი*)

წინა წერილში გაკვრით შევეხე თითქმის ყველა იმ უარყოფით შედეგებს, რომელიც გამოიწვია ღვინის აკრძალვამ, მაგრამ ათიათასჯერ უნდა ითქვას, დაიწეროს და ხმამაღლა აღიარებულ იყოს მათი მავნებლობა როგორც ერისათვის, ისე სახელმწიფოსათვის, რომ პირვანდელი შეცდომა დროი შესწორდეს. შეცდომა კი მეტად დიდია. მართლაც, თუ მარტო კახეთის მოსახლეობას ბიუჯეტიდან გამოაკლდება ღვინის აკრძალვის გაგრძელებით 30,000,000 მანეთამდე, როგორც აღნიშნული გვქონდა წინა წერილში, ამდენივე, მაინც, უნდა ვიანგარიშოთ დაახლოვებით ქუთაისის გუბერნიაზედ და ერევნისაზედ და, მაშასადამე, მარტო ამიერ კავკასიის ბიუჯეტს დააკლდება 90.000.000-მდე მანეთი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კავკასიის მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებს უჭირავს დაახლოვებით 100.000 დესეტინა და ეს შეადგენს მესამედს მთელი იმპერიის მევენახეობისას—მთელს იმპერიაში უნდა ვიანგარიშოთ 270,000,000 მანეთის ღვინო თითქმის უნაყოფოდ ამოღებული მშრომელი ხალხის საცხოვრებელ ჯამიდან. ეს აუარებელი ფული მთელი იმპერიის მცხოვრებლებზე რომ იყოს განაწილებული თანაბრად, როგორც გარდასახადი, რასაკვირველია, შეუმჩნევლად დარჩებოდა და სამართლიანიც იქნებოდა, მაგრამ იგი აწვება სულ მცირედს რიცხვს მოსახლეობისას და ამიტომ სიცოცხლის სახსარს უსპობს უფრო ცოცხალსა და კულტურისან მშრომელ ხალხსა. თუ ჩვენ არ მივიღებთ მხედველობაში, იმ აუარებელ თანამდევ ნაკლულოვანებას, რომელიცა სდევს ღვინის აკრძალვას და მძიმე ტვირთად აწვება როგორც ეკონომიურ, ისე ფიზიკურს მდგომარეობას ხალხისას—სახელმწიფოებრივ-ფისკალური მხრითაც მეტად საყურადღებოა იგი. არყის აკრძალვით თუ ერთი მილიარდი დააკლდა სახელმწიფოს ბიუჯეტს, სამაგიეროდ „მთვრალი რუსეთის" მაგიერ დღეს ილიუზია გვაქვს „ფხიზელი რუსეთისა" და ამ გვარად სახელმწიფოს უბრუნდება დანაკლისი ხალხის ჯანსაღობის სახით, რაიც თავისით კიდევ ხელს უწყობს მუშაობის ინტენსივობას და, მაშასადამე, საერთო სახელმწიფოებრივ კეთილდღეობასაც. ასე არ არის ღვინის საკითხი. თუ დღეს 270.000.000 მანეთის ღვინოს ვანგარიშობთ რუსეთში, აქციზის სახით სახელმწიფოს აკლდება წლიურად თითქმის ამის ნახევარი, რადგან ვედროზედ 4 მ. და 80 კაპ. გადასახადია [და, მაშასადამე, 129.600.000 მანეთი. ღვინოზედ, როგორც არა პირველ საჭიროების საგანზედ, შესაძლებელია (და იქნება სასურველიც იყოს) დაწესდეს მეტი გადასახადი, მაგ. რვა მანეთი ვედროზედ (ე. ი. ბოთლზედ 50 კ.) და მაშინ სახელმწიფოს შემოსავალი ღვინით ვაჭრობის განთავისუფლებისაგან ავა 216,000.000 მანეთამდე, რაცა დღევანდელ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ფინანსები შერყეულია, კარგა დიდ ჯამს შეადგენს. მეორე მხრივ, ღვინო არაყი არ არის, რომ იმდენის გაკეთება იყოს შესაძლებელი, რამდენიც გინდოდეს და, მაშასადამე, სიმთვრალის შედეგები **ბუნებრივად შეზღუდული და განელებულია** უკვე ღვინის რაოდენობის შეზღუდულობით; და, მართლაც, თუ რუსეთის იმპერიის კაცის თავზედ ვიანგარიშებთ, თითოს მოუწევს **წელიწადში სამ ბოთლზედ ნაკლები** (170.000.000 მოსახლეობა და 270.000.000 ვედრო ღვინო) ესეთი პროპორციით შხამი რომ განაწილდეს—მაშინაც არ იქნებოდა საშიში, არამც თუ ღვინო, რომელსაც ბევრი მარგებელი და მკურნალობითა ძალაც აქვს. ჩვენ აღარაფერს ვიტყვით იმაზედ, რომ ყველაზედ მაგარი ბუნებრივი ღვინოს გრადუსი (Спиртозность) იშვიათად აღემატება 14-15°-ს და, მაშასადამე, როგორც დამათრობელი მასალა მეტად სუსტია და ამასთან ძვირფასიც, რომ მისი მავნებლობა მასსისათვის საშიში იყოს.

ამ მხრივ, თუ გონების თვალით განვიხილავთ შექმნილ მდგომარეობას, პირდაპირ წარმოუდგენელ წინააღმდეგობაში ჩავვარდებით: ერთის მხრით განწირული მშრომელი ხალხი, რომელსაც **არავითარი დანაშაული** არ მიუძღვის არც სახელმწიფოსა და არც რევოლიუციის წინაშე, განწირული მწარმოებელი და აღმომცენი მევენახეობის უმაღლესი კულტურისა, განწირული სასიკვდილოდ და მეორე მხრით რაღაც გამოურკვეველი შიში, რომ **ვიღაცა დაითვრება** და ექსცესებს მოახდენსო. მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტია—ამბობს ერის გონიერება და დღეს კი სწორედ ესე გამოდის. იმის მაგიერ, რომ ზომები იყოს მიღებული ყოველგვარგვარ უწესოების წინააღმდეგ და აილაგმნენ დამნაშავენი,—რაიც ათასად უფრო იაფად დაუჯდებოდა სახელმწიფოსაც და ხალხსაც—სჯიან ჯანმრთელ, საღ და მომუშავე ხალხს, სჯიან მწარმოებელს, სჯიან ვაჭარს და იმათ აუარებელ მუშებს. მართლაც, თუ ხალხს აკარგვინებენ 270 მილიონ მანეთს და ხაზინა ჰკარგავს ორას მილიონ მანეთზე მეტს, განა არ შეიძლებოდა ამის ნაასალის დაკარგვა ისეთ ზომებზედ, რომელნიც სასტიკად თვალყურს ადევნებდნენ ღვინით ვაჭრობის წესიერებას და სიმთვრალეს?!

გარდა ყველა ჩამოთვლილისა, რად უნდა იყოს დასჯილი თვით საზოგადოება, რომელიც შეჩვეულია ამინის უკუნისამდე ღვინის ხმარებას სადილის, ვახშმის დროს, როგორც სამკურნალო, გემრიელ და უწყინარი დიეტიკისას. რა დააშავა ფხიზელმა ხალხმა, რომ ლოთების მაგიერ ისინი ისჯებიან? ეს ისეთივე უაზრობაა, როგორც მაგალითად ჯიბგირების შიშით, მთავრობას კანონი გამოეცა, არცერთ მოქალაქეს უფლება არა აქვს ჯიბე იქონიოს ტანისამოსზედ. ასეთი კანონები არსად არ არის და დღეს, მაგ. საფრანგეთში, გერმანეთში ან ინგლისში ნაკლები ღვინო არ ისმევა, ვიდრე ომამდე და ეს საფრთხედ არავის მიაჩნია.

**რ. გაბაშვილი.**

*) იხ. № 87.

# ამიერ-კავკასიის მმართველობის პროექტი

ამიერ-კავკასიის კომიტეტთან არსებულმა ეროვნებათა წარმომადგენლების საბჭომ ბ. გ. გვაზავას (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის დელეგატს) დაავალა წარმოედგინა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ეროვნული წარმომადგენლობა ამიერ-კავკასიაში.

ბ. გ. გვაზავამ შემდეგი მოხსენება წარადგინა:

„ამიერ-კავკასია წარმოადგენს დიდს სხვა და სხვაობას არა მარტო ჰავისა და ნიადაგისას, არამედ რასსის, ენის, სარწმუნოების და ზნე-ჩვეულებისასაც. მიუხედავად ამ სხვადასხვაობისა, მიუხედავად ეროვნული, რელიგიური და ეკონომიური წინააღმდეგობისა, მაინც ინტერესები სხვა და სხვა კუთხისა საკმაოდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. სხვა რო არა იყოს-რა, ერთი გეოგრაფიული მდებარეობა, აგრე მკაცრად შემოხაზული კავკასიის ქედით და ორი (კასპიის და შავის) ზღვის ნაპირებით, თითქო ჰქმნიან თავისებურ ეროულს და წინასწარ ჰგულისხმობენ ცოტათი მაინც მართვა-გამგეობის ერთნაირობას. ძნელი საფიქრებელია, რომ ცხოვრების დინამიკას ერთ რომელიმე მხარეში, რაც გინდ რომ იყოს იგი მომწყვდეული ერთი ენისა, სჯულისა ან კულტურის ფარგლებში, არა ჰქონდეს ზედ-გავლენა მეორე მხარეზე და არა იწვევდეს მასში ამა თუ იმ მოძრაობას. მშვიდობიანობა ერთი მხარისა შევის მყოფელია მეორისათვის. არეულობა ერთისა ადვილად გადადის მეორეზე და იწვევს ასეთსავე არეულობას. მართალია, ცხოვრების პირობათა სხვა და სხვაობა ჰქმნის მოთხოვნილების და საჭიროების სხვა და სხვაობას, მარა იქ, სადაც ეს საჭიროება და მოთხოვნილებანი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან გადაბმულნი, საჭირო არის საერთო მეჯლობა და შეთანხმება, რომ მიღებულ იქმნას საერთოდ აწონილ—დაწონილი ღონისძიება. ეს—ერთად-ერთი გზა არის, რომ დავაკმაყოფილოთ არსებითი მოთხოვნილებანი ჩვენი ქვეყნისა და თანდათან ჩავაყენოთ მისი მიმდინარეობა თავისუფალ სახელმწიფოებრივობის ვრცელ ნაპირებში.

აქედან პირველი მოთხოვნილება, რომელსაც გვიკარნახებს დღევანდელი მომენტი, გახლავსთ—შექმნა ერთის საერთო ორგანოსი, რომელიც უნდა იყოს გამომხატველი ჩვენი მხრის საზოგადოებრივი აზრისა.

**ამიერ-კავკასიის საბჭო.**

ამისთანა ორგანოს მსგავსი არსებობდა წინედაც—ეს იყო მეფის ნაცვლის საბჭო. იგი თავის შემადგენლობით და ხასიათით სრულებით ეთანხმებოდა იმ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელსაც თვით ემსახურებოდა; იგი წარმოადგენდა ბიუროკრატიულს და არა საზოგადოებრივ აზრს, მოხელეთა და არა ქვეყნის ხმას და თანაც იმ მოხელეთა, რომელთაც არა გაეგებოდათ-რა ქვეყნის გუნებისა და ხასიათისა. ეხლა ყველაფერი გამოიცვალა, მეფის ბიუროკრატია დაეცა, ძალაუფლება გადადის ხალხის ხელში და ამიტომაც ახალ საბჭოს შემადგენლობაც ძირ-ფესვიანად უნდა გამოიცვალოს—ეხლა ამ საბჭოს წევრი უნდა იყოს ამორჩეული, ხალხის ნდობით აღჭურვილი პირი.

მუშაობა ამ მხრივ დაწყებულია კიდეც. იყო კრება ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელთა (18—20 მარტს 1917 წ.) და მათ გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია მომავალ საბჭოს შემადგენლობა. საჭიროა მხოლოდ იქ შევიტანოთ ცოტაოდენი შესწორება. ამიერ-კავკასია—დიდი ქვეყანაა. მისი მცხოვრებთა რიცხვი უდრის 7 ნახ. მილიონს. ამიტომ წარმომადგენლების რიცხვიც უნდა იყოს ორჯელ მეტი მაინც, ვიდრე ეს იყო განსაზღვრული იმ რეზოლიუციაში (38), ე. ი. ეს რიცხვი უნდა ავიდეს 74-მდე. მაშინ თითო წარმომადგენელი მოუწევს თითქმის 100.000 მცხოვრებს და, მაშასადამე, მივიღებთ:

1) თბილისის გუბერნიიდან (1473308)—14 წარმომადგენელი, 2) ბაქოს გუბ. (1.281.575)—12 წარმომად., 3) ელისავეტპოლ. გ. (1.275 131)—12 წარ., 4) ერევნ. გ. (1.120.242)—11 წარ., 5) ქუთაის. გ. (1.034 468)—10 წარ., 6) ბათომ. მხ. (122.084)—1 წარმომად., 7) დაღესტანიდან (713.342)—7 წარ., 8) ყარსის ოლ. (364.214)—4 წარმომ., 9) სოხუმის ოლ. (209.671)—2 წარ., 10) ზაქათალის ოლ. (92.608)—1 წარ., სულ 74 წარმომადგენელი.

**არჩევნები.**

სასურველია, რა თქმა უნდა, ამ წარმომადგენლების არჩევნები მოხდეს საყოველთაო, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით, მარა ეხლანდელი მომენტი ნებას არ გვაძლევს შევწიროთ ბევრი შრომა და დრო ამ არჩევნების მოწყობას. სხვა ღონე არ არი, უნდა დავკმაყოფილდეთ იმითაც, თუ ეს არჩევნები მოხდება საგუბერნიო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტების მიერ. როგორც ვიცით, ეს კომიტეტებიც ემყარებიან საყოველთაო არჩევნებს და საკმაო ფესვები აქვსთ ხალხის თვითშეგნებაში. ამიტომ ამ კომიტეტების ნდობა თითქმის რომ ეთანხმება ხალხის მიერ გამოთქმულ ნდობას.

ძალიან სასურველი იქნებოდა, ეს კომიტეტები რომ იხელმძღვანელებდნენ პროპორციულ წარმომადგენლობის პრინციპით. ეს აუცილებელიც არის, თუ გვინდა პარტიათა და ჯგუფთა ბრძოლა და განხეთქილება თავიდან ავიცილოთ. ყოველთვის, როცა ასარჩევია ერთზე მეტი წარმომადგენელი, ეს არჩევნების [illegible] ადვილ განსახორციელებელი [illegible] უმცირესობა, ეროვნულია იგი თუ პარტიული, შეძლება ეძლევა აირჩიოს თავის წარმომადგენელი, თავის პარტიის რეალ ძალის მიხედვით მაშინ წარმომადგენლობაც იქმნება ნამდვილი განსახიერება ქვეყნისა და არა დალრეჯილი გამოხატულება მისი სახისა.

(დასასრული იქნება)

# კავკასიის ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობა

(მეოთხე კრება)

26 აპრილი.

კრება გაიხსნა **ევ. გეგეჭკორის** თავმჯდომარეობით. სახელმწიფო თეატრში კითხულობენ წინა კრებების ოქმებს. ოქმები კრებამ დაამტკიცა. კამათი გრძელდება დღიური საკითხის შესახებ. „თანამედროვე მომენტი და აქედან გამომდინარე ტაქტიკა". ორატორების ყურადღება ორ უმთავრეს სადავო საგნისკენ არის მიქცეული: 1) ბურჟუაზიის როლი დღევანდელ რევოლიუციაში და 2) პარტიული ორგანიზაციების დაარსება ჯარში. ერთი რიგი ორატორებისა იმ აზრს ადგია რომ ბურჟუაზიას ყოველ რევოლიუციაში შესაფერი როლი უთამაშნია და რუსეთშიაც ასეაო. ამიტომ მუშა და ბურჟუაზია, დროებით მაინც ერთად უნდა მოქმედობდნენ, თორემ რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები დაიმსხვრევა და კონტრ-რევოლიუცია გაიმარჯვებს. სხვები წინააღმდეგი იყო ასეთი აზრის. ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონურია და მათთან შეერთება მუშა ხალხს საფრთხეს უქადისო.

ჯარში პარტიული ორგანიზაციების შექმნის მომხრენი მის აუცილებლობას აღნიშნავენ. ეს ჯარს დამფუძნებელი კრებისთვის და მომავალ ცხოვრებისთვის მოამზადებსო. ბევრიც იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ასეთი ორგანიზაცია ჯარის საერთო ინტერესს და დისციპლინას დაარღვევსო. **ლომთათიძე** და **ცერცვაძე** აღნიშნავენ სხვათა შორის, რომ პარტიული ორგანიზაციები საშიშია მეტადრე კავკასიის ჯარში, სადაც მრავალი ეროვნების წარმომადგენელნი არიან და აქ ეროვნული ინტერესები თავს იჩენს. და ეს კი ნაციონალურ შუღლს გამოიწვევსო. ამ საკითხის შესახებ კრებამ თვით მომხსენებლის, პაპოვის (ს.-დ.) რეზოლიუცია მიიღო. ამ რეზოლიუციით ჯარში პარტიული ორგანიზაციები უარყოფილია. კრებამ პრეზიდიუმისაგან შემუშავებული დეპეშები მიიღო და დაუგზავნა: კ. ჩხეიძეს, კერენსკის, პლეხანოვს და ჩერნოვს.

დღის შემდეგ **სხდომები** დღეგამოშვებით მოხდება.

# სემინარიის გარშემო

რევოლიუციის ქარიშხალმაც ვერ შემოაცალა შავი რიდე მრავალ-ტანჯულ იბერიის ეკლესიას.

ლამის საქვეყნო ზეიმში საქართველო ვერ გახდეს თანამედლესასწაულე, თანამოზიარე.

ლამის სიხარული გაგვიცრუვდეს და ნათელი კვლავ ბნელად შეგვეცვალოს.

თითქმის ერთი ჩვენი ჭრილობაც კი არ მოურჩენია დღემდე რევოლიუციის ნესტარს.

აიღეთ თუნდ ეკლესია. იგი ისევ აწეწილ-დაწეწილია, კვლავ სიმართლის თვის ჰღაღადებს...

თუნდ სემინარიის საქმე...

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხში, დიდ როლს თამაშობს თბილისის ქართული სემინარია—ეს სხივოსანი ჩირაღდანი ქართველ სამღვდელოებისა.

მიუხედავად თავისი სასტიკი რეჟიმისა, იგი ყოველთვის მგზნებარე ძალით აღჭურვილ ახალგაზრდობას აწვდიდა ჩვენს სამშობლოს.

მეტსაც ვიტყვით—მხოლოდ სემინარიამ იტვირთა ქართულ კულტურის განმტკიცება წარსულ საუკუნეში.

დღეს კი ყოველივე ხუნდებს მოშორებული, თავისუფალი სასწავლებელი უფრო მეტ სინათლეს მოჰფენდა საქართველოს თავისუფალ ეკლესიას.

მაგრამ...

ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ, კვლავ ახალი კითხვა დაისვა:

ვის შერჩეს თბილისის სემინარია?

რუსის სამღვდელოებას, რომელსაც არავითარი ამაგი არ მიუძღვის მის წინაშე, თუ ქართველ სამღვდელოებას, რომლის სისხლით და ძალით არის იგი დაფუძნებული?

რასაკვირველია, ეს საკითხი მეტად დიდ-მნიშვნელოვანია და არც ერთი მხარე არ დასთმობს თავის პოზიციას..

ბრძოლა უკვე გაჩაღებულია...

სასტიკი იერიშები მოაქვთ რუს მასწავლებლებს და ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ მიზნის მისაღწევად.

წარსულში იგინი მთელს თავის საპედაგოგიო მოღვაწეობას მხოლოდ რუსიფიკატორობაში ჰხედავდნენ... ვერავითარ მეგობრობას ვერ უწევდნენ ქართველ მოწაფეს, რადგანაც კლასში შავ გულს და ყვავილით დაღვრემილ სახეს უჩვენებდნენ, კლასის გარედ კი მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობდა.

მაინც აშკარად არ უნდოდათ გამოეთქვათ თავისი სიძულვილი, რომელიც ახლა გამოაქვეყნეს და გამოაშკარავეს თავისი საქციელით. დღეს 5-მა რუსმა მასწავლებელმა, ყოველივე კავშირი გასწყვიტა სემინარიის ქართველ რექტორთან და გამგეობასთან, არ ესწრობა მათს კრებას, ხოლო გულმოდგინედ დაიარება ნაექსარხოსალ პლატონთან, სადაც მასთან ერთად ათას გეგმას ადგენენ სემინარიის დამცველთა წინააღმდეგ.

სემინარიელ ქართველ მასწავლებელთა გარდა, სიმართლისთვის ხმა აღიმაღლა ქართველმა მოწაფეობამ. აპრილის 18, კრებაზე (დაესწრნენ საქართველოს ყველა კუთხის დელეგატები), დეპეშით სთხოვა ლვოვს და აქ, (თბილისში) ბენეშევიჩს, დათხოვნა იმ ხუთი რუსი მასწავლებლისა (მათს გარდა კიდევ ხუთი რუსი მასწავლებელი რჩება), რომელნიც მათ შორის მხოლოდ ღვარძლსა და შხამსა ჰსთესავენ, და რომელთაგანაც საკეთილო არა ახსოვთ რა. ამასთანავე მოითხოვენ იგინი სემინარიის სრულს ნაციონალიზაციას.

ჩვენ არ ვიცით რას იტყვის ამის შესახებ ლვოვი ან რა წყალობა მოვა საპასუხოდ, მაინც და მაინც არ შეიძლება სემინარიის დათმობა, ვინაიდან საქართველოს ეკლესიას ამით ერთი ძლიერი ბურჯი გამოეცლება.

საჭიროა ქართველ საზოგადოებამაც ხმა აღიმაღლოს მისთვის და ურაზმო სემინარიას შესაფერი მზრუნველობა აღმოუჩინოს.

დროა ბოლო მოეღოს მასში დატრიალებულ ბოროტებას და უსამართლობას...

ა. ნორიელი.

## მაჰმადიანთა ყრილობა ბაქოში

ყრილობის უკანასკნელი დღეა. დელეგატებს მეტი საქმიანობა და მოქმედება ეტყობოდათ. გადასაწყვეტია სამი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: აგრარული, მუშათა და მაჰმადიანთა ეროვნულ კომიტეტების მოწყობისა. დილის კრება ამ უკანასკნელ საკითხს მოუნდა. მოხსენების მოსმენისა და კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა შემდეგი პროექტი კავკასიის მაჰმადიანთა ეროვნულ კომიტეტების მოწყობისა: გამოკვლეულ უნდა იქმნეს მაჰმადიანთა საერთო სტატისტიკა და დაუყოვნებლივ დაარსდეს ორი დროებითი ცენტრალური ბიურო, ერთი კავკავში და ერთიც ბაქოში; მაჰმადიანთა მთელ საქმეებისა საწარმოებლად თბილისში უნდა მოეწყოს განსაკუთრებული ბიურო, რომელშიაც იქმნებიან ცენტრალურ ბიუროთაგან ამორჩეული ორ-ორი წარმომადგენელნი ამიერ-კავკასიისა. დროებითი ცენტრალური ბიუროები, როგორც კავკავისა და ბაქოსი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მაჰმადიანთა სათემო, საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტების შედგენას, ესენი კიდევ თვით შეუდგებიან ორ უკვე მუდმივ ცენტრალურ ბიუროების მოწყობას—ერთი ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნისათვის იქნება, მეორე ამიერ-კავკასიისათვის.

ზემოხსენებული პროექტით ეს ორი ცენტრალური ბიურო თბილისის განსაკუთრებული ბიუროს ხელმძღვანელობით მთელი კავკასიის მაჰმადიანობის სათავეში უნდა ჩაუდგნენ და მისი ეროვნული საქმეები აწარმოვონ.

იმავ საღამოს განიხილეს ა. ა. ბ. ამირჯანოვის მოხსენება მაჰმადიანთა ეროვნულ ფონდის შედგენის შესახებ. ერთხმად დადგენილ იქმნა, რომ ეროვნულ და სასულიერო სკოლების, საეროვნო ორგანიზაციების და სხვა და სხვა აუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შესდგეს ეროვნული ფონდი, რომლის მთავარი გამგეობა იქმნება ბაქოში, ხოლო მისი წარმომადგენელი იცხოვრებს თბილისში; იმ პროექტით, რომელიც ყრილობამ მიიღო, დღეიდან ყველა ის შემოსავალი, რომელსაც მეჩვიდრეობის გაყოფის დროს სასულიერო წოდება იღებს ამ ფონდს უნდა გადაეცეს. მასვე უნდა გადაეცეს ყველა ის შეწირულებანიც რომელსაც აქამდე სასულიერო წოდება იღებდა ჯრის წერაში, ცოლქმართა გაყრაში და მიცვალებულთა დამარხვაში. ფონდს უნდა გადაეცეს აგრეთვე სამსხვერპლოთ გაწირული ცხვარის ტყავეულობა და სხვა შემოსავალი შარიათით დაწესებული. დაწესდა აგრეთვე ყოველ სულზედ განსაკუთრებული გადასახადის 2 პროცენტი.

ამ ფონდის დაარსება ყველამ დიდი სიხარულით მიიღო და მრავალი კაპიტალისტები დაჰპირდა ყრილობას, მთელს ჩვენს ძალას ვიხმართ, რათა ეს ფონდი გაძლიერდესო.

დღის წესრიგში უკანასკნელი საკითხები მუშათა და აგრარული საკითხებია. ყრილობამ პირველ დღეს, თანახმად გლეხებისა და მუშების მოთხოვნილებისა განსაკუთრებული კომისია აირჩია ამ კითხვათა გამოსარკვევად. მაგრამ ყრილობამ დღევანდელ სხდომაზედ თავი ამ საკითხთა გამოსარკვევად კომპენტენტად ვერა სცნო და კომისიის ნამუშევრის განხილვა თავმჯდომარის თოფჩიბაშევის წინადადებით უარყო, ხოლო ის რეზოლიუციები, რაც ამ კომისიას გამოუტანია, ყრილობამაც მიიღო; მუშათა საკითხში კომისიას განუზრახავს მთელი რიგი სოციალურ რეფორმათა, მაგრამ გადუწყვეტია ისიც, რომ ეს რეფორმები საკანონმდებლო გზით იქმნას გატარებული დამფუძნებელ კრების საშუალებით. მიწის საკითხის შესახებ კი შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: „გლეხთათვის მიწის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ყველა საუფლისწულო, სახაზინო და საკაბინეტო მიწების კონფისკაცია, აგრეთვე სამართლიანი შეფასებით და იძულებით ჩამორთმეულ იქმნას მსხვილ მემამულეთა მიწები: და ძალით მიწების წართმევას ადგილი არ უნდა ჰქონდეს დამფუძნებელ კრებამდის, რომელზედაც მიწის საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს; ხოლო მიწით სარგებლობის ნიადაგზე ამტყდარი დავანი უნდა განსახილველად გადაეცეს შემარიგებელ კომისიებს, რომელნიც შესდგებიან გლეხების, მემამულეების და სამაზრო, ან სათემო კომიტეტების წარმომადგენელთაგან.

ყრილობის სამუშაო გათავდა. სხდომა უნდა დაშლილიყო, როდესაც თავმჯდომარემ განაცხადა, ჩემს სახელზედ უსახელო ბარათი მოვიდა, შეკითხებიან, ყრილობა სახალხო თავისუფლების პარტიას როგორ უცქერისო. ა. მ. ბ. თოფჩიბაშევი აცხადებს მაჰმადიანთა განწყობილებას ამ პარტიასთან. ჯერ კიდევ 10—11 წლის წინედ გამოირკვა, როდესაც კადეტებმ კატეგორიულად განუცხადეს, რომ მაჰმადიანები მათ იმპერიალისტურ მისწრაფებათ მაჰმადიან ეროვნებათა მიმართ არასოდეს მხარს არ დაუჭერენო.

უკანასკნელი სიტყვით კრებას მიჰმართა და გამოემშვიდობა რასულ ზადე. მან სთქვა, რომ ის ეჭვები, ვითომც ყრილობა მაჰმადიანთა მთლიანობაში გათიშვას შეიტანდა არ გამართლდა; წინააღმდეგ მთელი მაჰმადიანობა გაერთიანდა საერთო ეროვნულ მისწრაფებათა განსახორციელებლად. ყრილობამ ისიც დაამტკიცა, რომ მაჰმადიანები სრულიად მომწიფებულან პოლიტიკურ ცხოვრებისათვის და ამიტომ შიში მაჰმადიანთა ფედერაციის მოწინააღმდეგეთა სრულიად უსაფუძვლოა. თუ დღევანდელი ყრილობისთვის შესაფერი პირნი მოიძებნენ—ისინი უსათუოდ მაჰმადიანთა მომავალ პარლამენტშიც იქნებიანო. ყრილობა ისეთივე ზეიმით დასრულდა, როგორითაც გაიხსნა. შეიხ-ულ-ისლამის, მუფთის და ორ აჰარელ მოლის ლოცვის შემდეგ დელეგატებმა ხელში აიყვანეს თოფჩიბაშევი, რასულ ზადე, განჯინსკი და ასადულაევი. დარბაზიდან ხალხი ქუჩაში გამოვიდა და პროცესია თოფჩიბაშევის სახლისკენ გამართა ისე, რომ თავისი თავმჯდომარე ხელში აყვანილი მიიყვანეს ბინაზედ.

## პროექტი
### ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის წესდებისა.
### 1. მიზანი

§ 1. ა) კავშირს მიზნადა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს გარეშეც, სადაც კი საჭიროთ დაინახავს, ქართული თეატრის საქმე დააყენოს სათანადო ნიადაგზე და იზრუნოს, როგორც მის მხატვრულ მხარეზე, აგრეთვე ქონებრივად გაღონიერებაზე.

ბ) მისივე მიზანია ყოველგვარი ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს წევრებსა და მათ ოჯახებს და აგრეთვე დაიცვას მათი საპროფესიო უფლებანი, სადაც კი ამას საჭიროება უჩვენებს.

§ 2. ა) ამ მიზანთა მისაღწევათ კავშირი აწარმოვებს უმთავრესად ქართულ წარმოდგენების სეზონებს და ამისთვის იქონიებს დამოკიდებულებას, როგორც დრამატიული აგრეთვე სხვა საჭირო დაწესებულებათა და კერძო პირთა მიმართ.

ბ) აარსებს ყოველნაირ საურთიერთო დამხმარე დაწესებულებებს (ემერიტალური, საპენსიო, შემნახველ-გამსესხებელი, მომხმარებელი, სამარხი, დასაზღვევი და სხვა ამგვარი კასები).

გ) აარსებს სხვა და სხვა თანხას თავ-შესაფართა, სანატორიუმების, დაუძლურებულთა ბინების, საავადმყოფოების და სხვათა მოსაწყობად.

დ) წევრებისა და მათი შვილებისათვის აარსებს სხვა და სხვა გვარ სტიპენდიებს მთავრობისა თუ კერძო სასწავლებლებში.

ე) წევრებსა და მათ ოჯახს აღმოუჩენს ერთდროულს, ან პერიოდულ შემწეობას.

ვ) აარსებს საკომისიო ბიუროს, რომლითაც დაეხმარება წევრებს ადგილისა და სამუშაოს საშოვნელად.

ზ) აარსებს პრაქტიკულ, სათეატრო სტუდიებს ახალგაზდა მსახიობთა გასაწვრთნელად.

ჱ) დრო გამოშვებით კავშირის სასარგებლოთ მოაწყობს წარმოდგენებს, სალიტერატურო-სამუსიკო საღამოებს, საჯარო ლექციებს, რაიმე ნიშნის საჯაროთ გაყიდვას, ბაზრობას და სხვ.

თ) საჭიროების და მიხედვით აარსებს საკრებულოს.

ი) აწყობს სათეატრო მუზეუმს და გამოფენებს.

ია) იწვევს საერთო ყრილობას თეატრის მუშაკთა და სცენის მოღვაწეთა.

იბ) გამოსცემს სხვა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, პიესებს, როლებს და სხვა საჭირო გამოცემებს.

იგ) აარსებს პრემიებს და მართავს შეჯიბრებას საუკეთესო სათეატრო ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

იდ) იჯარით ღებულობს: სათეატრო შენობას, პროგრამა-აფიშების გამოცემას და გამოფენის საქმეს.

იე) უვლის და პატრონობს გარდაცვალებულ წევრთა და არა წევრთა ქართული სცენის მუშაკთა სასაფლაოებს, სადაც კი არ უნდა იმყოფებოდეს.

ივ) თავის სახელზე იძენს ყოველგვარ ქონებასა ნასყიდობით, ჩუქებით თუ ანდერძის ძალით, როგორც უძრავსა, აგრეთვე მოძრავსაც და აქვს უფლება, როგორც იურიდიულმა ერთეულმა საკუთრებად მოიხმაროს ეს ქონება და სასამართლოს წინაშე დაიცვას ეს უფლებები.

იზ) სცვლის ან უმატებს ახალ მუხლებს ამ წესდებას.

**საწევრო მოწმობა და ნიშანი.**

§ 3. კავშირი თავის დამფუძნებელ და ნამდვილ წევრებს აძლევს სათანადო საპროფესიო მოწმობას, ხოლო დანარჩენ წევრთ კავშირისას ურიგებს შესაფერ ქტონებს.

§ 4. კავშირსა აქვს ბეჭედი ქართულს ენაზედ შემდეგის ზედ-წარწერით: „ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირი".

### II შემადგენლობა.

§ 5. კავშირის წევრები არიან: ა) დამფუძნებელნი, ბ) ნამდვილნი, გ) თანამშრომელნი, დ) თანამგრძნობნი, ე) საპატიონი.

§ 6. ა) დამფუძნებელ წევრებად ითვლებიან ისინი, რომელთაც ერთი წელიწადი მაინც უმსახურნიათ რომელიმე ქართულ პროფესიონალთა დასში.

**შენიშვნა:** სულ ერთია დასი კერძო ანტრეპრიზის იყო თუ დრამატიულ საზოგადოებისა.

ბ) ნამდვილ წევრებად ითვლებიან ისინი, რომელთაც ხუთი წელიწადი ზედი-ზედ უმსახურნიათ თუნდაც არა ქართულ პროფესიონალთა დასში და ქართულს ენაზე კი შეუძლიათ სასცენო მუშაობის გაწევა.

**შენიშვნა:** კავშირის დამფუძნებელი წევრებიც ნამდვილ წევრებად ითვლებიან.

გ) თანამშრომელ წევრებად შეიძლება მიღებულ იქმნან ისინი, რომელთაც სასცენო საქმესთან რაიმე დამოკიდებულება აქვთ, დრამატურგიდან დაწყებული სცენის უბრალო მუშამდე.

დ) თანამგრძნობელ წევრებად მიიღება ყველა განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა.

**შენიშვნა:** თანამგრძნობელ წევრად შეიძლება აგრეთვე ჩაეწერნენ მთელი დაწესებულებანი თავიანთი შემადგენლობით.

ე) საპატიო წევრებად კავშირი ირჩევს ისეთ პირებს, რომელთაც განსაკუთრებული სამსახური გაუწევიათ კავშირისათვის.

**შენიშვნა.** საპატიო წევრებად შეიძლება არჩეულ იქმნას ის პირიც, რომელიც ერთ დროულათ შეიტანს არა ნაკლებ 1000 მანეთისა.

§ 7. კავშირში შესვლის დროს ყოველ წევრს გარდა თანამგრძნობისა, კავშირის კასაში შეაქვს ერთდროული გადასახადი, რომლის რაოდენობასაც არკვევს საზოგადო კრება.

§ 8. ყოველ წლიურად იხდიან საწევრო ფულს: ა) ნამდვილი წევრი არა ნაკლებ 5 მანეთისა. ბ) თანამშრომელი არა ნაკლებ 3 მანეთისა. გ) თანამგრძნობი არა ნაკლებ 25 მანეთისა.

§ 9. კავშირის ნამდვილსა და საპატიო წევრებს აქვთ სრულ უფლებიანი ხმა. დანარჩენ წევრებს კი ეძლევათ მარტო სათათბირო ხმა, არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ და არც შეიძლება რაიმე თანამდებობაზე არჩეულ იქმნენ გარდა სარევიზიო კომისიისა.

§ 10. ყოველი ნამდვილი წევრი თავის საპროფესიო უფლების დაცვას ანდობს კავშირს და ამასთანავე ემორჩილება იმ წესებს, რომელიც კავშირს აქვს შემუშავებული.

§ 11. კავშირი დაარსებულად ითვლება დამფუძნებელ კრების მოხდენის შემდეგ.

§ 12. ყოველ წევრს კავშირისას უფლება აქვს შემოიტანოს რაიმე წინადადება საბჭოში და საბჭოც განხილვისა და თავის მოსაზრების შემდეგ წარუდგენს საზოგადო კრებას.

§ 13. ყოველი საჩივარი საბჭოს მოქმედებაზე უნდა შეტანილი იქმნეს საბჭოშივე და საბჭო მოვალეა ეს საჩივარი წარუდგინოს საზოგადო კრებას.

### III საქმეთა მართვა გამგეობა.
#### ა) საზოგადო საქმეები.

§ 14. კავშირის საქმეებს განაგებს: ა) საზოგადო კრება, ბ) საბჭო, გ) სარევიზიო და სხვა სპეციალი კომისიები, დ) საპროფესიო სასამართლო.

§ 15. საზოგადო კრებები არის: ჩვეულებრივი და საგანგებო.

§ 16. ჩვეულებრივი კრება შესდგება წელიწადში ერთხელ და იმართება ქ. თბილისში.

§ 17. წლიურ კრებას იწვევს საბჭო დიდმარხვის რომელიმე კვირაში.

**შენიშვნა:** დრო, ადგილი და განსახილველი საგნები საზოგადო კრებისა ეცნობება წევრებს ორი კვირით წინ გაზეთის საშუალებით.

§ 18. წლიური კრების საგანს შეადგენს: ა) განხილვა და დამტკიცება გამგეობის მიერ შედგენილ წლიურ ანგარიშისა, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვისა და სარევიზიო და სხვა სპეციალ კომისიების მოხსენებათა.

ბ) განხილვა და გადაწყვეტა საბჭოს მიერ წარმოდგენილ საკითხების და წინადადების.

გ) უძრავ ქონების, შეძენის საკითხები.

დ) დამტკიცება სხვა და სხვა ინსტრუქციებისა გამგეობის, სარევიზიო და სხვა სპეციალ კომისიათა სახელმძღვანელოდ და კავშირის სხვა და სხვა ორგანოს მოსაწესრიგებლად.

ე) კავშირის წესდების შეცვლა და დახურვა.

ვ) კავშირის წევრების და თანამდებობის პირთა არჩევანი.

**შენიშვნა:** საანგარიშო წელიწადი ითვლება ერთი წლის დიდ-მარხვის პირველ კვირიდან, მეორე წლის დიდ მარხვის პირველ კვირამდე.

§ 19. საგანგებო კრება შეიძლება მიწვეულ იქმნას საბჭოს მიერ, სარევიზიო კომისიის წინადადებით და ნამდვილ წევრთა $^1/_4$ წერილობითი განცხადებით. ბ) საგანგებო კრება საბჭოს მიერ მოწვეული უნდა იქმნეს განცხადების შემდეგ არა უგვიანეს ორი კვირისა.

§ 20. ყოველ საზოგადო კრებას გახსნის კავშირის თავმჯდომარე და თუ თავმჯდომარე არ არის, მისი თანაშემწე, ან მისი მოვალეობის აღმასრულებელი. ბ) საზოგადო კრება ხმის უმეტესობით ირჩევს თავის შორის თავმჯდომარეს და მდივანს კრებისას.

**შენიშვნა:** საბჭოსი, სარევიზიო, სპეციალ კომისიებისა და აგრეთვე საპროფესიო სასამართლოს წევრებს უფლება არა აქვთ არჩეულ იქმნან პრეზიდიუმში. გ) საზოგადო კრების დადგენილებანი უნდა შეტანილ იქმნენ განსაკუთრებულ ოქმში, რომელიც იმავე კრებაზე უნდა დამტკიცდეს. დამტკიცების შემდეგ ოქმს ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და მდივანი. ხოლო დაწერილებითი ოქმი წარედგინება შემდეგ საზოგადო კრებას.

დ) საზოგადო კრებაზე სჯა-ბაასი მხოლოდ იმ საკითხებს უნდა შეეხებოდეს, რომელიც საზოგადო კრების განცხადებაში არის აღნიშნული. ყოველი ახალი საკითხი, უკეთუ ამას კრება მოისურვებს, უნდა გადაეცეს საბჭოს თავის მოსაზრების შესამუშავებლად და მოხსენების წარმოსადგენად.

ე) საზოგადო კრება კანონიერად ითვლება, თუ მას დაესწრო ერთი მეოთხედი კავშირის ნამდვილი წევრებისა. $^2/_3$ ნამდვილი წევრების კრებაზე დასწრება საჭიროა მაშინ, როდესაც მსჯელობა იქნება ქონების შეძენაზე, ან გაცემაზე, ან წესდების რომელიმე მუხლის შეცვლაზე, ან კავშირის დახურვაზე.

ვ) თუ კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობით კრება არ შესდგა, არა ადრე ერთი კვირისა საბჭო იწვევს მეორე კრებას იმავე საკითხების გადასაწყვეტად და მიუხედავათ კრებაზე დამსწრე წევრთა რაოდენობისა, კრება კანონიერად ჩაითვლება.

ზ) ყოველი საკითხი საზოგადო კრებაზე კრების თავმჯდომარის უფლებით ფარულის ან ახდილის კენჭის ყრით სწარმოებს, ხოლო თუ ერთი წევრიც კი მოითხოვს ფარულ წესს, მაშინ აღძრული საკითხის გადაწყვეტა ფარულის წესითა ხდება.

ჱ) უკეთუ ფარული კენჭის ყრის დროს გმები თანასწორად გაიყო, საკითხი უარყოფილად ჩაითვლება.

თ) ყოველივე არჩევნები და ძირითადი მუხლების შეცვლა მუდამ ფარულის წესით უნდა სწარმოებდეს.

ი) კრების თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კამათს და უკეთუ კავშირის რომელიმე წევრი წესდების ფარგლიდან გამოვიდა და კრების წესიერება დაარღვია, თავმჯდომარე მოვალეა ასეთ წევრს სიტყვის თქმის უფლება მოუსპოს ან კრებიდან გააძევოს. განსაკუთრებულ შემთხვევაში, წესიერების დარღვევის დროს, თავმჯდომარეს უფლება აქვს კრება დახუროს.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპიძე.

გამომცემელი ამხ. „საქართველო".


**ამიერ-კავკასიის რკ. გზის**

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| თელავიდან | | № 2, | 6.24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

**ექიმი ფონ-ირტელი**

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე ... სპეციალისტი ... სიფილისისა და მის შედეგების ..., სქესობრივი ..., სიმსივნისა, ... ... რიგზე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე. ტელეფონი „814" და „608"

1 მაისიდან გამოვა ყოველ კვირეული სამხატვრო-ხალიტერ. ჟურნალი

**„ს ხ ი ვ ი"**

ჟურნალში მოთავსებული იქნება მხოლოდ მოთხრობები, პიესები, ლექსები ბიოგრაფიები და კრიტიკული წერილები.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ს. აბაშელი, ვ. ბარნოვი, პ. ირეთელი, იასამანი, ლალიონი, დ. მიხრონგური, მაღაქიაშვილი, ლ. ნათაძე, ი. ნიკოლაიშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ქუჩიშვილი, ს. რემონიძე, ვ. რუხაძე, ტ. რამიშვილი, ნ. ზომლეთელი, ნ. ჩხიკვაძე, ი. სიხარულიძე, ობოლი მუშა და სხვა.

ჟურნალში მოთავსებული იქნება თანამედროვე მოღვაწეთა სურათები და მოკლე ბიოგრაფიები.

წლიურად ღირ ება—10 მან., ნახევარი წლით—6 მან., ერთი თვით 1—მ., თითო ნომერი—20 კაპ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96. С. Р. Таварткиладзе. თანამშრომლებს აუცილებლათ მიეცემა სასყიდელი.

რედაქტორები: პ. ირეთელი და ვ. რუხაძე. ◆ გამომცემელი კანტ. „განათლება"

**მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.**

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის" (ავტონომისტთა) გაზეთ

**„ხალხის თავისუფლება"-ზე**

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

**ივ. გომართელის** მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით და იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

**გაზეთის მიზანია:** მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

**გაზეთი ღირს:** ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრის ბაღის თავში) და „სორაპნის" სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба" І. Имедашвили.

**თევზის მრეწველნი ძმ. მეზვრიშვილი**

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საფაჭრო სახლ. „ძ. მეზვრიშვილი"-დან, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მარწყვის" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სადიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

**ქარების (რევმატიზმის), ნევრესის თირკმელების (ჭაჭების)**

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „ურადონალ", და მაზი წასასმელი „ატრო", სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურადონალისა" ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურადონალი" და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო". სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

**თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.**

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.